სკკპ XXII ყრილობის შესახვედრად

# მსოფლიოში საუკეთესო პროდუქციისათვის!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 163 (12077) | ხუთშაბათი, 20 ივლისი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

ბრძოლა საფაბრიკო მარკის ღირსებისათვის მუდამ უნდა იყოს ყველა ჩვენი სამეურნეო და პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში. ყველასათვის ხომ სასიამოვნოა აიღოს ხელში კარგი ნივთი, დაინახოს კარგად განხორციელებული პროექტი. ამასთან ყოველივე ეს უნდა გაკეთდეს გონივრულად, ეკონომიურად, მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევების გათვალისწინებით, ყველაზე ხელსაყრელად, რომ პროდუქციის ყოველი ერთეული წარმოებულ იქნას შრომისა და მატერიალური სახსრების ნაკლები დანახარჯებით.

ნ. ს. ხრუშჩოვი

## დიდი თაოსნობა

ჩვენი სახელოვანი დედაქალაქის — მოსკოვის მშრომელები ემზადებიან ღირსეულად შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას და გამოიჩინეს ახალი ძვირფასი ინიციატივა—მოაწყეს ფართო სოციალისტური შეჯიბრება მრეწველობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და საიმედოობის გადიდებისათვის. ამ ახალ პატრიოტულ წამოწყებას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. იგი ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარების, გეგმების წარმატებით შესრულებას და ამ საფუძველზე მშრომელთა ცხოვრების დონის განუხრელ ამაღლებას.

მოსკოვის საწარმოთა კოლექტივებმა იკისრეს ვალდებულებანი, რომლებიც ითვალისწინებენ არსებული კონსტრუქციების მანქანების, ხელსაწყოების, აპარატების, სახალხო მოხმარების ნაკეთობათა გაუმჯობესებას და ახალი, უფრო სრულყოფილი კონსტრუქციების შემუშავებას; მოძველებული ტექნოლოგიური პროცესების შეცვლას უფრო პროგრესულით, ტექნიკური კონტროლისა და წარმოების კულტურის სრულყოფას და ამ საფუძველზე ნაკეთობათა ხარისხის გაუმჯობესებას, მათი საიმედო ექსპლოატაციის საგარანტიო ვადის გადიდებას.

ამას წინათ საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა და მოიწონა მოსკოველთა თაოსნობა, რომლებმაც მოაწყეს სოციალისტური შეჯიბრება მრეწველობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და საიმედოობის გადიდებისათვის. მიღებულ დადგენილებაში საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა პროფკავშირულ ორგანიზაციებს დაავალა ფართოდ გაავრცელონ მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივების თაოსნობა ჩვენი ქვეყნის ყველა საწარმოში და მშენებლობაზე.

მოსკოვის, ისევე როგორც სხვა ქალაქების, საწარმოთა მუშების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების მიერ ნაკისრ დიდ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება დამოკიდებულია სხვადასხვა ეკონომიური რაიონის ბევრი ქარხნისა და ფაბრიკის კოლექტივების მუშაობაზე. ამიტომ ძალიან საჭიროა, რომ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში ჩაებას ჩვენი ქვეყნის ყველა საწარმო.

მონდომებით ემზადებიან რა სკკპ XXII ყრილობისათვის, ჩვენი ქვეყნის მშრომელები უეჭველია ახალ წარმატებებს მოიპოვებენ პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის ბრძოლაში, უზრუნველყოფენ მრეწველობის ნაწარმის საიმედოობისა და ხანგრძლივობის შემდგომ გადიდებას, რაც ახალი არსებითი წვლილი იქნება შვიდწლიანი გეგმის შესრულების საქმეში.

ვ. გრიშინი,
საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე.

## ქარხანაში, სადაც წარმოიშვა ინიციატივა

კარგი სახელით სარგებლობს სახელგანთქმული ქარხანა „მანომეტრის" ხელსაწყოები, რომლის კოლექტივმა დაიწყო ლაშქრობა, ნაკეთობათა მაღალი ხარისხისათვის, საიმედოობისა და ხანგრძლივობისათვის. ეს ხელსაწყოები წარმატებით მუშაობენ ატომურ ყინულმჭრელ „ლენინზე", შორეულ ინდოეთში ბჰილაის მეტალურგიულ ქარხანაში, მათ იყენებენ საბჭოთა მრეწველობის ბევრ დარგში.

ქარხნის დირექტორი პ. ლაჩუგინი — დიდი საწარმოო გამოცდილების მქონე ადამიანი — გვიზიარებს თავის ფიქრებს.

— საიმედოობა და ხანგრძლივობა — ამ მოთხოვნებს ვუყენებთ ყოველ ნაკეთობას. მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პროდუქციის ხარისხის შეფასება ხშირად ხდება მხოლოდ სახელმწიფო სტანდარტებს, ტექნიკური პირობებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების ფორმალური შესაბამისობით, ღრმად არ ვსწავლობთ ნაკეთობათა ექსპლოატაციის კონკრეტული პირობებისა და მოთხოვნების ფაქტიურ შესაბამისობას.

ქარხანაში გადავწყვიტეთ გულდასმით გადაგვესინჯა ხელსაწყოების კონსტრუქციები, საქმე ისე მოგვეწყო, რომ ისინი გამხდარიყვნენ უფრო სრულყოფილი, უფრო მოხერხებული მუშაობაში, რომ დამზადებაზე იხარჯებოდეს ნაკლები ლითონი, დრო, რომ ისინი იყოს უფრო სრულყოფილი, ნაკლები ადგილი ეკავოს. ეს ძალიან რთული მუშაობა იყო.

იმათ შორის, ვინც პირველმა მოჰკიდა ხელი ამ ძნელ საქმეს, იყვნენ ინჟინერი ანატოლი მიხეილის-ძე ლაპიდესი, მექანიკოსები ევგენი გუსევი, ვიქტორ ვასილევსკი და სხვები. მათ განახორციელეს ბევრი სხვადასხვა ექსპერიმენტი, შექმნეს მთელი რიგი სქემები. იყო მარცხიც, ზოგჯერ ფიქრობდნენ, რომ არაფერი არ გამოვიდოდა, რომ უნდა შეურიგდნენ ძველ ნორმებს, არსებულ სტანდარტებს. მაგრამ სიმტკიცემ და შეუპოვარმა შრომამ ყველაფერი გადალახა, ბოლოს, შეიქმნა ხელსაწყო, რომელიც გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიმტკიცით. მისი სამსახურის ვადა ერთიოთხად გაიზარდა, ხოლო გაბარიტები ერთიორად შემცირდა!

ყოველი ხელსაწყო შედგება ასობით დეტალისაგან. ეს დეტალები გაივლის რამდენიმე კაცის ხელში. ბუნებრივია, რომ ყოველ უბანზე, ყოველი კაცის ხელშია ხელსაწყოს ბედი, მისი ხარისხი, უნარი დიდხანს იმუშაოს ან ერთბაშად გაჩერდეს. ამიტომ არის, რომ „მანომეტრში" ნაკეთობის ხანგამძლეობისა და სიმტკიცისათვის შეჯიბრებაში მონაწილეობს ყველა — დაწყებული კონსტრუქტორით და გათავებული მეჩარხით, ამწყობით, მექანიკოსით, კონტროლიორით, ოსტატით.

პარტიის XXII ყრილობისათვის ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა დაამზადოს ავტომატური, ელექტრონული, თვითმწერი, მარეგულირებელი და სხვა ხელსაწყოების ახალი კონსტრუქციების მთავარი ნიმუშები. მათი დანერგვა წარმოებაში ნაცვლად ნაკეთობისა, რომელსაც ახლა უშვებს ქარხანა, გაადიდებს ხელსაწყოების საიმედოობასა და ხანგამძლეობას ერთნახევარჯერ-ორჯერ, ერთიორად შემცირდება მათი ზომა, ერთი მესამედით შემცირდება დეტალების რაოდენობა, ხოლო ნაკეთობათა ლითონტევადობა და წონა 30 პროცენტით შემცირდება.

## ქართული ავტომობილის მშენებლები მხარს უჭერენ მოსკოველთა თაოსნობას



ქუთაისი. (საკ. კორ.). როგორც ცნობილია, პარტიის XXII ყრილობისათვის მზადების ამ ღირსშესანიშნავ დღეებში მოსკოვის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, ძვირფასი პატრიოტული თაოსნობა გამოიჩინეს — ჩვენი ქვეყნის ყველა ეკონომიური რაიონის მრეწველობის მუშაკებს მოუწოდეს აქტიური მონაწილეობა მიიღონ სამრეწველო პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლაში, რათა საერთო ღონისძიებებით კიდევ უფრო მაღლა ასწიონ საბჭოთა საფაბრიკო-საქარხნო მარკის ღირსება.

მოსკოველთა მოწოდების პასუხად 17 ივლისს ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში გაიმართა მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საერთოსაქარხნო კრება.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ქარხნის მთავარი ინჟინერი გ. კობალაძე, № 2 სამსხმელო საამქროს ზეინკალი დ. ჯიბლაძე, მთავარი კონსტრუქტორის განყოფილების ინჟინერ-კონსტრუქტორი ა. ხეთერელი, სიჩქარეთა კოლოფის საამქროს ამწყობი, რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორი ი. ხაზარაძე, საწნეხ-საძარე საამქროს შემდუღებელი ა. ღიბრაძე, საიარაღოსატვიფრო საამქროს მტვიფრავი მ. მიქაძე და სხვ.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მოსკოველთა თაოსნობას და იკისრეს:

**1961-1962 წლების განმავლობაში მათ მიერ გამოშვებულ ყველა ტიპის მანქანაზე დანერგონ გადიდებული წარმადობის კომპრესორები წყლის გამაცივებლებით; იმუშაონ და განახორციელონ კონსტრუქციული ღონისძიებები თვითსაცლელი ავტომობილის ძარების საექსპლოატაციო მედეგობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, „კაზ-600-ბ" მარკის ავტომობილებზე დანერგონ ზეთოვანი რადიატორები და ტუმბოები, ქარხნის კონსტრუქტორთა ძალებით შეიმუშაონ ახალი კონსტრუქციის ისეთი მანქანები, რომლებიც დღემდე გამოშვებული მანქანებისაგან განსხვავდებიან უფრო მაღალი საექსპლოატაციო პარამეტრებით და დიდი სიმტკიცით;**

**1961 წელს წარმოებაში დანერგონ ბენტონიტი — ასკანის საბადოების ადგილობრივი ნედლეული, ვორონეჟის ოლქიდან შემოზიდული ცეცხლგამძლე თიხის ნაცვლად, ამით გააუმჯობესონ სხმულების ხარისხი და ქვეყანას მისცენ 10.000 მანეთი ეკონომია. 1962 წელს დანერგონ მჭრელი იარაღების დააზოტების პროცესი, რითაც 25 პროცენტით გადიდდება მათი მედეგობა, და ქვეყანას მისცენ 15.000 მანეთი ეკონომია.**

**1962-63 წლებში განახორციელონ № 2 სამსხმელო და სამჭედლო საამქროების რეკონსტრუქცია ახალი, პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების შემოღებით, მიაღწიონ ლითონისა და ნაჭედის ხარისხის გაუმჯობესებას, თვითღირებულების მკვეთრად შემცირებას. ავტომობილმშენებლები პირობას იძლევიან, რომ პირნათლად შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას. მათ მიერ გამოშვებული ქართული ავტომობილი საუკეთესო იქნება მსოფლიოში.**

**მათ რესპუბლიკის ყველა სამრეწველო საწარმოთა და მშენებელთა კოლექტივებს მოუწოდეს აქტიურად ჩაებან პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, საქარხნო-საფაბრიკო მარკის ღირსებისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში, რათა ჩვენი სამრეწველო პროდუქცია ყველაზე საუკეთესო იყოს მსოფლიოში.**



რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორი ი. ხაზარაძე.

## წინ არიან ჭიათურელი მაღაროელები

ჭიათურა. (საკ. კორ.). თითქმის სამი ათეული წელია ერთმანეთს ეჯიბრებიან და მეგობრობენ ჭიათურელი და ნიკოპოლელი მაღაროელები. ისინი ხშირად ხვდებიან და გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს. მათი სტუმრობა-შეხვედრები ხალხთა მეგობრობის შესანიშნავი დემონსტრაციაა.

ჭიათურელ მაღაროელთა დელეგაციამ, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ჭიათურის ქალაქკომის მდივანი ი. კობახიძე ხელმძღვანელობდა, ივლისში ერთი კვირა დაჰყო უკრაინელ მეგობრებთან. ჭიათურელებმა დაათვალიერეს ნიკოპოლის მარგანეცის მაღაროები, გამამდიდრებელი ფაბრიკები, ღია სამუშაოები, გაეცნენ ახალ ტექნიკას, ესაუბრნენ ნიკოპოლელ მაღაროელებს, სპეციალისტებს. ჭიათურელებს განსაკუთრებით მოეწონათ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები და მადნის ღია წესით მოპოვების მეთოდები.

ნიკოპოლელთა კულტურის სასახლეში გაიმართა შეკრება, სადაც შეაჯამეს პარტიის XXII ყრილობისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა, დასახეს ახალი ღონისძიებანი. აღინიშნა, რომ ნახევარი წლის მაჩვენებლებით წინ მიდიან ჭიათურელი მაღაროელები. წარმატებით მუშაობენ აგრეთვე ნიკოპოლის ორჯონიკიძისა და ოქტომბრის 40 წლისთავის სახელობის მაღაროთა კოლექტივები. ქართველმა და უკრაინელმა მაღაროელებმა პარტიის XXII ყრილობის შესახვედრად ახალი ვალდებულებები იკისრეს.

## შენთვის, ჩემო სამშობლოვ!

თბილისი. სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში კერამიკული კომბინატის (დირექტორი ვ. ურუშაძე) კოლექტივი შესანიშნავ წარმატებებს აღწევს. საწარმომ ნახევარი წლის გეგმა 120,2 პროცენტით გაანაღდა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 6.944 კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილები, 2.553 ცალი უნიტაზი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პროდუქციის გამოშვება 56 ათასი მანეთით გაიზარდა.

წარმოებაში დანერგეს ახალი ტექნიკა და გაუმჯობესებული ტექნოლოგია. ამის შედეგად მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 6,9 პროცენტით გაიზარდა, პროდუქციის თვითღირებულება 3 პროცენტით შემცირდა, დიდი რაოდენობით დაიზოგა მასალები და ელექტროენერგია. ყოველივე ამის შედეგად კომბინატის კოლექტივმა 88.500 მანეთი ზეგეგმითი ეკონომია მიიღო.

ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით კომუნისტური შრომის ბრიგადებს, რომლებსაც გ. ბოჭორიძე, ლ. შევჩენკო, დ. მინდიაშვილი, რ. ჩივაძე, თ. ბენაშვილი და ვ. მაძამია ხელმძღვანელობენ. ყოველდღიურად დავალებას ორმაგად ასრულებენ კომუნისტური შრომის დამკვრელები ლ. უსტარაშვილი, ა. სამგალოვა, ნ. შევჩენკო, პ. ზასლავსკაია, ა. გოგელიანი, ფ. კასრელაშვილი, თ. ზანდუკელი, გ. ლაბაძე და ტ. პონომარიოვი.

რუსთავი. (საკ. კორ.). ცემენტის ქარხნის კოლექტივი, რომელიც ერთგულად იბრძვის კომუნისტური შრომის საწარმოს სახელის მოსახვეჭად, ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით იძლევა მაღალი ხარისხის პროდუქციას. ივლისის 18 დღეში აქ გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 1.000 ტონამდე ცემენტი და ამდენივე კლინკერი. სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში კვლავ დიდ წარმატებებს აღწევენ კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებსაც რ. ჰეჰინაძე და ლ. კოტიოლკინა ხელმძღვანელობენ.

ქარელი. (საკ. კორ.). აგარის შაქრის კომბინატმა კუბიდან გადასამუშავებლად მიიღო შაქრის ნახევარფაბრიკატის კიდევ ერთი დიდი პარტია. აგარელი მეშაქრეები შეუფერხებლად აწარმოებენ მის გადამუშავებას.

კომბინატი დღე-ღამეში გეგმის გადამეტებით 260-300 ცენტნერ შაქარს უშვებს. ცვლები, რომლებსაც კ. დახოვსკი და გ. ხარხარიანცი ხელმძღვანელობენ, ყველაზე მოწინავენი არიან. მხარშავი ი. ბლუაშვილი, შაქრის გამთეთრებელი ი. ქობესოვი ყოველდღიურ საწარმოო გეგმებს 120-130 პროცენტით ასრულებენ.

## მოსკოველთა თაოსნობას— მთელი ხალხის მხარდაჭერა



ზუგდიდის რაიონის ონარიის საბჭოთა მეურნეობა რესპუბლიკის მეჩაიეობის ერთ-ერთი ახალგაზრდა მეურნეობაა. მეურნეობის მეჩაიეებმა, რომელთა შორის უმრავლესობა ახალგაზრდებია, ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება და ვალდებულება იკისრეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა ვადამდე — 1 აგვისტოსათვის შეასრულონ. სურათზე: მედეა ძიძარია. იგი ყოველდღიურად 35-40 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს.

ფოტო ბ. სოკოლოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

## 165.000 ტონა ჩაისთვის!

### გუშინ ჩაის პლანტაციებში




გეგეჭკორი... (see above)

გათუმი რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სეზონის დაწყების დღიდან მოკრიფეს 4.720 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით მოკრეფილია 347 ტონით მეტი.

სოფელ ჩაისუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ **ნაზი ფილავანდიშვილმა** მოკრიფა 77 კილოგრამი, გეგმა კი 25 კილოგრამს ითვალისწინებდა. სოფელ ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ **ასიე ცამბამ** მოკრიფა 70 კილოგრამი, ფერიის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში **ნაზი ბალაძემ** — 65, მახინჯაურის ჯინჭარაძის სახელობის კოლმეურნეობაში **ნანული ხალვაშმა** — 70 კილოგრამი. წლიური გეგმის ზევით მათ უკვე მისცეს სამშობლოს 250-300 კილოგრამი „მწვანე ოქრო".

## მათ შეასრულეს წლიური გეგმა

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). სოფელ მამათის კოლმეურნეობაში თავი ისახელა ცნობილმა მეჩაიემ ოლია ჩხაიძემ, რომელმაც 0,6 ჰექტარი პლანტაციიდან 5.300 კილოგრამი „მწვანე ოქრო" მოკრიფა და ჩააბარა წარმოებას, წლიური გეგმა კი 4.100 კილოგრამს ითვალისწინებდა. წარჩინებული მკრეფავი სეზონში სულ 8 ტონა ნედლეულის ჩაბარებას გვპირდება.

ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება გადაჭარბებით შეასრულა აგრეთვე ამავე არტელის მეჩაიემ ნათელა ჩხაიძემ, რომელსაც 3.500 კილოგრამი ფოთოლი უნდა მოეკრიფა, ფაქტიურად 4.400 კილოგრამი ნედლეული დაამზადა.

მათ არც გოგუცა ჩხაიძე ჩამორჩება. ბეჯითმა მკრეფავმა წლიური გეგმა 104 პროცენტით გაანაღდა და 6.500 კილოგრამისათვის იბრძვის.

## იბრაჰიმ აბუდი მოსკოვში

მოსკოვი, 18 ივლისი. (საქდესი). დღეს დილით სუდანის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი იბრაჰიმ აბუდი კრემლში ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს.

ლ. ი. ბრეჟნევსა და ი. აბუდს შორის გაიმართა გულითადი, მეგობრული საუბარი.

შემდეგ საპატიო სტუმარმა და საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს მისმა თანმხლებმა პირებმა ინახულეს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი, ი. აბუდმა გვირგვინით შეამკო მავზოლეუმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ იმავე დღეს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართეს სუდანის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისა და პრემიერ-მინისტრის გენერალ-ლეიტენანტ იბრაჰიმ აბუდის პატივსაცემად.

## სულ ცოტა 120 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი ივლისის ბოლოს —ასეთია ამოცანა, ამხანაგო მეჩაიეებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წარმატებით განვახორციელოთ სკკპ XXII

**სკკპ XXII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობისათვის საყოველთაო-სახალხო მზადების დღეებში რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში, შახტებსა და მაღაროებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის მესამე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. ყრილობებისათვის მზადებას ამჟამად ცენტრალური ადგილი უჭირავს პარტიული ორგანიზაციების მთელ მასობრივ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობაში.**

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, განიხილა საკითხი 1961 სამეურნეო წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების შედეგებისა და სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა განხორციელებაში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ.**

**ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ.**

**სამი** თვე დარჩა იმ ისტორიულ დღემდე, თქვა ამხ. მჟავანაძემ, როცა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში მუშაობას დაიწყებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა. ყრილობა განიხილავს და მიიღებს სკკპ ახალ პროგრამასა და ახალ წესდებას. ეს ყრილობა უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი იქნება პარტიის, საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, მსოფლიო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში.

სკკპ XXII ყრილობის წინ გაიმართება საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობა. ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იქნება რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისა და ყველა მშრომელის ცხოვრებაში.

1961 წელი, შვიდწლედის მესამე წელი, ბევრი თვალსაჩინო მოვლენით აღინიშნა როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ისე ჩვენს რესპუბლიკაშიც. ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის დროს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლის იუბილესთან დაკავშირებული ზეიმის დღეებში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა, შეჯამებულ იქნა პარტიის XX და XXI ყრილობების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წ.) და შემდგომი პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის შედეგები. დაისახა რესპუბლიკის მთელი სახალხო მეურნეობის აღმავლობის შემდგომი პერსპექტივები და ნაკისრია გადიდებული ვალდებულებანი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურული მშენებლობის განვითარებაში. ამ ვალდებულებათა უთუოდ შესრულება საქართველოს პარტიული ორგანიზაციების, ყველა მშრომელის უპირველესი მოვალეობაა.

ჩვენი პლენუმი, ამბობს ამხ. მჟავანაძე, მოწოდებულია შეაჯამოს შვიდწლედის მესამე წლის პირველი ნახევრის შედეგები, ანალიზი გაუკეთოს საქმის მდგომარეობას სახალხო მეურნეობის წამყვან დარგებში, ნახოს, თუ როგორ სრულდება ნაკისრი ვალდებულებანი, გამოააშკარაოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებანი და დასახოს მათი გამოსწორების გზები იმ მიზნით, რომ კარგი მაჩვენებლებით შევხვდეთ ჩვენი პარტიის XXII ყრილობას.

რესპუბლიკის მრეწველობამ ექვს თვეში 104 პროცენტით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ათობით მილიონი მანეთის პროდუქცია, შრომის ნაყოფიერების დავალება შესრულებულია 102 პროცენტით.

ყოველ დღეს მოაქვს მასების შრომითი და პოლიტიკური აქტივობის უმაგალითო აღმავლობის ახალი მკაფიო დადასტურება. ძვირფასი ინიციატივა გამოიჩინა ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც გაშალა ბრძოლა ნაკისრ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის, ზარალის შემცირებისა და უდოტაციო მუშაობაზე გადასვლისათვის. ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესების, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვის გზით სახელმწიფო დოტაცია 1961 წელს ქარხანას 28 პროცენტით შეუმცირდა ნაცვლად 7-8 პროცენტისა ვალდებულების მიხედვით. მიმდინარე წლის ექვს თვეში ქარხნის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით გამოუშვა ათობით ათასი ტონა თუჯი, ფოლადი, მილები, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა სოციალისტური ვალდებულებანი. თვითღირებულების შემცირების გზით შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეტანილია 534 ათასი მანეთი.

ენგურელმა მექაღალდეებმა შეაჯამეს ნახევარი წლის მუშაობის შედეგები და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ წლის დამლევამდე შეძლებენ ზარალი შეამცირონ არა 450 ათასი, არამედ 500 ათასი მანეთით და მთლიანად თქვან უარი დოტაციაზე უკვე 1964 წლის მეორე კვარტალში. ამ პატრიოტულ თაოსნობას ფართოდ გამოეხმაურნენ ჩვენი რესპუბლიკის ბევრი საწარმოს კოლექტივები. რუსთავის მეტალურგების, ქუთაისის ავტომობილმშენებლების, ტყვარჩელისა და ტყიბულის მეშახტეების, გორის ფეიქრებისა და სხვების ღირსების საქმეა აქტიურად ჩაებან ლაშქრობაში იმისათვის, რომ მკვეთრად შეამცირონ დოტაცია და უახლოეს ხანში სრულიად თქვან უარი მასზე.

მიღწევები თავისთავად არასოდეს არ მოდის. რენტაბელობისათვის ბრძოლა წარმოების მუშებისა და მეთაურებისაგან დაძაბულ ყოველდღიურ მუშაობას მოითხოვს. საჭიროა უკეთ გავუწიოთ კონტროლი ნედლეულისა და სხვა მასალების ხარჯვას, გავუფრთხილდეთ მოწყობილობას. ყოველნაირად უნდა განვავითაროთ ნოვატორობის სულისკვეთება და გულისხმიერად დავუჭიროთ მხარი ყოველივე ახალს, მოწინავეს.

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ერთ-ერთი გამოვლინებაა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივის გადაწყვეტილება — გამოეხმაურონ მოსკოვის ოლქის სერპუხოვის რაიონის მშრომელთა თაოსნობას, რომლებიც მუშაობენ დევიზით: „დღეს ნოვატორთა ზღუდე ხვალ კოლექტივის ზღუდეა“.

მოწინავე ჩარხმშენებლებმა ვალდებულება იკისრეს დაეხმარონ ამხანაგებს მაღალ საწარმოო მაჩვენებელთა მიღწევაში, გადასცენ მათ თავიანთი გამოცდილება და ცოდნა, მოაწყონ ურთიერთკონტროლი. წარმოების მოწინავეებმა და ნოვატორებმა გადაწყვიტეს სოციალისტური ვალდებულებანი შესრულებულად მიიჩნიონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათთან შეჯიბრებაში ჩაბმული ამხანაგებიც კარგ შედეგებს მიაღწევენ.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივის თაოსნობის ფართო გავრცელება რესპუბლიკის მრეწველობის, ტრანსპორტის საწარმოებში და მშენებლობებზე უეჭველად გამოიწვევს მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომ აღმავლობას, უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების გადიდებას და დამატებითი ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებას.

ყრილობისწინა შეჯიბრების დღეებში მუშაობა გააქტიურა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა. მიმდინარე წლის ექვს თვეში გეგმის გადამატებით გამოშვებულია ათასობით ტონა ფეროშენადნობები, შრომის ნაყოფიერება გადიდებულია 3,2 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 27 ათასი მანეთით. 8 ბრიგადამ კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო წოდება მოიპოვა.

ამ დღეებში შესანიშნავ ინიციატივას იჩენენ ჩვენი მრეწველობის შუქურები. ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადეებმა ამირან ფანცულაიამ და გიორგი სიგუამ, რომლებიც აღაფრთოვანა მათი შრომის მაღალმა შეფასებამ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ, მიმდინარე წლის ექვს თვეში ასობით ტონა ზეგეგმითი ლითონი გამოუშვეს. ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კომუნისტური შრომის რაციონალიზატორთა ბრიგადამ, რომელსაც იოსებ ხაზარაძე ხელმძღვანელობს, გადაწყვიტა შვიდწლედის დამლევამდე დაზოგოს ერთი მილიონი მანეთი და ეკონომიის ხარჯზე მიიღოს ხელფასი.

ასეთი შესანიშნავი მაგალითი შეიძლება ბევრი მოვიყვანოთ მრეწველობის სხვა დარგებშიც.

ამხ. მჟავანაძე ამბობს, რომ რესპუბლიკის მრეწველობის საწარმოები მთლიანად კარგად მუშაობენ. მაგრამ მათ ჯერ კიდევ აქვთ სერიოზული ნაკლოვანებანი, რომელთა აღმოფხვრასაც უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ. შეუწყნარებელია ის ფაქტი, რომ მარტო სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით საწარმოთა 15-მდე პროცენტი ვერ ასრულებს გეგმას. ძირითადად ამ მიზეზის გამო არის სხვაობა საბრუნავ სახსრებში დაახლოებით მილიონი მანეთის ოდენობით.

მთელი რიგი სამრეწველო საწარმოების ჩამორჩენის მთავარი მიზეზია შრომის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია, წარმოების დაბალი კულტურა, არასაკმარისი ბრძოლა ახალი ტექნიკისა და თანამედროვე ტექნოლოგიის დანერგვისათვის, დირექტორების ცუდი მუშაობა. ყველაზე მეტი ჩამორჩენილი საწარმოა სატყეო და ქაღალდის, ელექტროტექნიკური და ხორცისა და რძის მრეწველობის სამმართველოებში. ამ სამმართველოებისა და საწარმოების ხელმძღვანელებს, ამბობს ამხ. მჟავანაძე, ჯერ კიდევ არ განუხორციელებიათ საჭირო ღონისძიებანი ჩამორჩენილი ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივების მუშაობაში ძირეული გარდატეხის შესაქმნელად, ხოლო პარტიული ორგანიზაციები, ეტყობა, ურიგდებიან გეგმის შეუსრულებლობას, ანალიზს არ უკეთებენ შექმნილი მდგომარეობის მიზეზებს, ცუდად უწევენ კონტროლს ადმინისტრაციის საქმიანობას და ღრმად არ სწვდებიან საწარმოთა მუშაობის საკითხებს.

მომხსენებელი პლენუმის მონაწილეთა ყურადღებას ამახვილებს იმ ძირითად ფაქტორზე, რომელზეც საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია წარმოების შემდგომი ზრდა — შრომის ნაყოფიერებაზე. შრომის ნაყოფიერების სისტემატური გადიდება სოციალისტური მრეწველობის წარმატებით განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა, ეროვნული შემოსავლის ზრდის, დაგროვების გადიდებისა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების მთავარი წყაროა.

რესპუბლიკის საწარმოებში შრომის ნაყოფიერების ზრდის ანალიზი მიმდინარე წლის 6 თვის მანძილზე ცხადყოფს, რომ ამ საქმეში არსებითი ნაკლოვანებები გვაქვს. მრეწველობის ერთ მომუშავეზე შრომის ნაყოფიერება ამა წლის იანვარ-ივნისში 1960 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0,9 პროცენტით შემცირდა. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ამ მხრივ სამთამადნო, საფეიქრო, სატყეო და ქაღალდის მრეწველობაში.

ჩვენმა სამეურნეო ხელმძღვანელებმა მთელი ყურადღება უნდა მიაპყრონ ამ პირველხარისხოვან საკითხებს. საჭიროა შეისწავლონ და ღრმა ანალიზი გაუკეთონ მიზეზებს, რომლებიც აფერხებენ შრომის ნაყოფიერების ზრდას. ზრდის მიღწევა როდი შეიძლება სტიქიურად, თვითდინებით. შრომის ნაყოფიერების ზრდა წარმოების სრულყოფის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, მოწყობილობის მთლიანად გამოყენების, მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის შედეგია, შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების შედეგია.

დამაკმაყოფილებლად არ მიმდინარეობს გეგმის შესრულება ახალი ტექნიკის დარგში. მთლიანად არ არის გამოყენებული, მაგალითად, ახალი მოწყობილობა საფეიქრო მრეწველობაში, სადაც დაზგების მოცდენა 13 პროცენტს აღწევს, ნელი ტემპით ხორციელდება ცალკეულ სახეობათა შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია და ხელის შრომის შეცვლა სახალხო მეურნეობის საბჭოს მთელ რიგ საწარმოებში და განსაკუთრებით სამთამადნო, სატყეო და ქაღალდის, მანქანათსამშენებლო მრეწველობაში, საშენ მასალათა მრეწველობაში და ზოგიერთ სხვა დარგში.

წარმოების არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციის შედეგად საწარმოთა მნიშვნელოვანი რაოდენობა მუშაობს არარიტმულად, პროდუქციის მეტ ნაწილს თვის ბოლოს უშვებს. არარიტმულ მუშაობას მოსდევს მუშებისა და მოწყობილობის მოცდენა, მუშათა რიცხვის დაწესებული გეგმის გადამეტება, წარმოებაში წუნის ზრდა და პროდუქციის თვითღირებულების გადიდება.

რესპუბლიკის მრეწველობის მშრომელთა მიერ მოპოვებული წარმატებები მოწმობენ, რომ ჩვენ ყველა შესაძლებლობა მოგვეპოვება, რათა აღმოვფხვრათ აღნიშნული ნაკლოვანებანი და უზრუნველვყოთ მრეწველობის შემდგომი სწრაფი აღმავლობა. პარტიული ორგანიზაციების, ჩვენი სამეურნეო მუშაკებისა და საწარმოთა ყველა კოლექტივის ამოცანა ის არის, რომ აამოქმედონ და მაქსიმალურად გამოიყენონ მთელი არსებული რეზერვები, აღმოფხვრან ჩამორჩენის მიზეზები და ამ საფუძველზე უზრუნველყონ თვითეული საწარმოს მიერ ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა უთუოდ შესრულება.

შემდეგ მომხსენებელი ანალიზს უკეთებს რესპუბლიკის მშენებლობებზე არსებულ მდგომარეობას. სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 1961 წელს საქართველოს სს რესპუბლიკაში განსაზღვრულია 284,3 მილიონი მანეთით. ეს 12 პროცენტით მეტია 1960 წლის დაზუსტებულ გეგმაზე. რესპუბლიკაში აიგება ახალი სამრეწველო საწარმოები, ელექტროსადგურები, შახტები, საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საავადმყოფოები, კლუბები, სოფლის მეურნეობის ობიექტები. წელს კიდევ უფრო ფართოდ გაიშლება დიდი ქიმიისა და მარგანეცის მრეწველობის უმნიშვნელოვანეს საწარმოთა მშენებლობა. დაიწყო რესპუბლიკაში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის — ენგურის ჰესის, მადნეულის სამთოგამამდიდრებელი კომბინატის, რკინაბეტონის დიდი ქარხნებისა და სხვა საწარმოების მშენებლობა.

რესპუბლიკის მოსახლეობა მარტო სახელმწიფო კაპიტალდაბანდებებიდან 1961 წელს მინისტრთა საბჭოს ხაზით მიიღებს 446 ათას კვადრატულ მეტრ საერთო საცხოვრებელ ფართობს ანუ 8.620 კეთილმოწყობილ ბინას.

კაპიტალურდაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის შესრულება მთლიანად საქართველოში მიმდინარე წლის 6 თვის მანძილზე გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდდა კაპიტალური დაბანდების — 10 პროცენტით და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 10 პროცენტით. მაგრამ ნახევარი წლის გეგმის შესრულებამ შეადგინა შესაბამისად მხოლოდ 80 და 86 პროცენტი. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსადმი დაქვემდებარებული 26 სამმართველოდან და ტრესტიდან კაპიტალურდაბანდებათა გეგმა საანგარიშო პერიოდში გაანაღდა მხოლოდ ოთხმა ტრესტმა.

მიმდინარე წლის 6 თვეში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნა სულ 87.608 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი გეგმით გათვალისწინებული 107.650 კვადრატული მეტრის ნაცვლად, ანუ 81 პროცენტი.

ამხ. მჟავანაძე ლაპარაკობს იმაზე, რომ მთელი რიგი ორგანიზაციები და საწარმოები ხელმძღვანელთა უდისციპლინობის ან უთაურობის გამო, დაამთავრებენ რა მშენებლობას, ხოლო ზოგჯერ შეასახლებენ რა მდგმურებს, დროზე არ უდგენენ რესპუბლიკის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს საჭირო მონაცემებს. ამის შედეგად ანგარიშგება არ ასახავს ნამდვილ სურათს.

1961 წელს სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებულია 21 სკოლის, 19 სკოლა-ინტერნატის, აგრეთვე სკოლა-ინტერნატების საძინებელი და დამხმარე კორპუსების გადაცემა საექსპლოატაციოდ, რომელთა საერთო ფართობი იქნება 28.050 კვადრატული მეტრი, ამასთან ამ ობიექტების გადაცემა საექსპლოატაციოდ ძირითადად გათვალისწინებულია მესამე კვარტალში. მაგრამ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში კაპიტალურდაბანდებათა გეგმა წლის პირველ ნახევარში შესრულებულია მხოლოდ 47 პროცენტით, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გეგმა — 52 პროცენტით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ამას წინათ განიხილა რესპუბლიკაში სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების მშენებლობის მიმდინარეობის საკითხი და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. საჭიროა, რომ საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მდივნებმა და სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელობამ სასწავლო წლის დაწყებამდე დარჩენილ პერიოდში მიიღონ ყველა საჭირო ღონისძიება, რათა უზრუნველყონ, რომ მთავრობის მიერ დაწესებულ ვადებში შესრულდეს ამ ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა.

შეშფოთებას იწვევს „დიდი ქიმიის“ ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობა. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ექვსი თვის გეგმა აქ შესრულებულია მხოლოდ 92 პროცენტით. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გარდა შეფერხება აიხსნება ტექნოლოგიური მოწყობილობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და საკონტროლო-საზომი აპარატურის უქონლობით.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ შარშანდელთან შედარებით 13 პროცენტით გადიდდა იმ საიჯარო სამუშაოთა ფაქტიური მოცულობა, რომლებიც მოიჯარე ორგანიზაციებმა საკუთარი ძალებით შეასრულეს, მაგრამ მშენებლობის, წყალთა მეურნეობის, კავშირგაბმულობის სამინისტროების, გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ 15 მოიჯარე ორგანიზაციამ და სხვებმა ვერ უზრუნველყვეს დავალებათა შესრულება. ამის შედეგად საიჯარო სამუშაოთა გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში წლის პირველ ნახევარში ჩაიფუშა, მისი შესრულება მხოლოდ 89 პროცენტს შეადგენს.

სკკპ მომავალი XXII ყრილობის აღსანიშნავად საქართველოს მშენებელთა მრავალრიცხოვანმა არმიამ იკისრა სოციალისტური ვალდებულებანი — შეასრულოს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა 1961 წლის 25 დეკემბრისათვის, ხოლო საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა — 20 დეკემბრისათვის; სკკპ XXII ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულოს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ათი თვის გეგმა და ოქტომბრის ბოლომდე საექსპლოატაციოდ გადასცეს გეგმის გადამეტებით 5.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. მშენებლებმა იკისრეს აგრეთვე სხვა დიდმნიშვნელოვანი ვალდებულებანი. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ რესპუბლიკის მშენებლებმა პირნათლად გაანაღდონ ეს ვალდებულებანი.

შემდეგ მომხსენებელი დაწვრილებით აშუქებს საქმის მდგომარეობას რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში და ამ დარგში მდგომ ამოცანებს.

რესპუბლიკის მეტი წილი რაიონების პარტიულმა ორგანიზაციებმა მოახდინეს მთელი სახსრების მობილიზაცია, რათა უზრუნველყონ, რომ თვითეულმა მეურნეობამ შეასრულოს გადიდებული ვალდებულებანი. გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ცალკეულ კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, მექანიზატორებს, რგოლებსა და ბრიგადებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და მთელ რაიონებს შორის.

არსებული ტრადიციით მეჩაიეთა სიტყვა და საქმე ერთია. შარშან მათ თავდადებული შრომით ასახელეს რესპუბლიკა. წელსაც მოწინავეთა რიგებში დგანან, წარმატებით ასრულებენ ნაკისრ გადიდებულ ვალდებულებებს. 14 ივლისისათვის მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 96 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. ეს 4.300 ტონით მეტია, ვიდრე იყო შარშან ამავე დროისათვის. ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა შესრულებულია 120 პროცენტით. ჩაის ფოთლის კრეფაში შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ, აჭარის ასს რესპუბლიკამ, მახარაძის, ზუგდიდის, ჩოხატაურისა და რესპუბლიკის მთელმა რიგმა სხვა რაიონებმა.

96 ათასი ტონა ცოტა როდია, აცხადებს ამხ. მჟავანაძე. მაგრამ ვალდებულებასთან შედარებით, რომლის მიხედვით უნდა მოვკრიფოთ 165 ათასი ტონა, ეს სრულიად არ არის საკმარისი.

ახლა, როცა წყდება მოსავლის ბედი და კვირაში თითქმის ორ-სამ დღეს წვიმა მოდის, ჩაის ფოთლის საკრეფად უნდა გამოვიყენოთ ყოველი დარიანი დღე და საათი!

ბევრი ფიქრობს, ჯერ კიდევ საკმაო დრო გვაქვსო. მაგრამ განა ასეა? აგვისტო და სექტემბერი შეიძლება კარგი იყოს აჭარაში და ნაწილობრივ მახარაძის რაიონში, მაგრამ არა ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, წყალტუბოსა და გეგეჭკორის რაიონებში. ეს უნდა გავითვალისწინოთ და არ დავკარგოთ დრო, ინტენსიურად ვაწარმოოთ ჩაის კრეფა.

ივლისის პირველ ხუთდღიურში აღნიშნავს ამხ. მჟავანაძე, მეტად სუსტი იყო ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი. ჩვენ ველაპარაკეთ ამხანაგებს ადგილებზე და მათ აღგვითქვეს, რომ თვის ბოლომდე დარჩენილ დღეებში მოკრეფენ 120 ათას ტონა ჩაის ფოთოლს. ამ ამოცანის შეუსრულებლობა საფრთხეს შეუქმნის რესპუბლიკის მიერ ნაკისრი ვალდებულების განხორციელებას.

წლევანდელი წელი, თქვა ამხ. მჟავანაძემ, განსხვავდება წინა წლებისაგან. წელს ჩვენ გვქონდა მთელი რიგი სიძნელეები. აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში და განსაკუთრებით კახეთის დაბლობ რაიონებში გვალვის გამო დიდ ფართობებზე დაიღუპა საშემოდგომო ნათესები და მნიშვნელოვნად დაზიანდა საგაზაფხულო კულტურები. იძულებული გავხდით ხელახლა დაგვეხნა ნიადაგი და კვლავ დაგვეთესა.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც მამობრივი ზრუნვა გამოიჩინეს ჩვენი კოლმეურნეების საჭიროებებისათვის და დიდი დახმარება გაგვიწიეს. რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გამოეყოთ ფულადი სახსრები, თესლი. ამოცანა ის არის, რომ მაქსიმალურად რაციონალურად გამოიყენონ გაწეული დახმარება. ყველაზე მთავარია უზრუნველყონ ნათესების კარგი მოვლა, არ გამორჩეთ არც ერთი ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებას.

ამხ. მჟავანაძე ამბობს, რომ მიმდინარე წლის ივნისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ორჯერ განიხილა სიმინდის ნათესების მდგომარეობისა და დამუშავების საკითხი. აღინიშნა, რომ რაიონების უმრავლესობა მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდა ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს. ყვარლის რაიონის მესიმინდეებმა სიმინდის უხვი მოსავლის უზრუნველსაყოფად ამ კულტურისათვის აითვისეს ახალი ნაკვეთები, ქვისაგან, ბუჩქებისაგან გაწმინდეს მინდვრები, მოაწყეს მორწყვის უმარტივესი სისტემა. სიმინდის მოყვანისათვის მუშაობა კარგად მოაწყეს გურჯაანის, ზუგდიდის, გორის, მარნეულის, ლაგოდეხის, ახმეტის, აგრეთვე აბაშის, ხობის, ცხაკაიას, ლანჩხუთისა და დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებში. ისეთი სიმინდი, როგორიც არის ქართლსა და დასავლეთ საქართველოში, ჯერ არ ყოფილა რესპუბლიკაში. ნათესები დროზე დამუშავდა. თუ შემდეგ ამინდმა ხელი შეგვიწყო, მოსალოდნელია კარგი მოსავალი.

სიმინდის მოვლა-მოყვანაში რესპუბლიკაში ძირეული გარდატეხა მოხდა. ენერგიულმა შრომამ და მატერიალურმა დაინტერესებულობამ ჯეროვანი ნაყოფი გამოიღო. ამხ. მჟავანაძე განსაკუთრებით უსვამს ხაზს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეთა მატერიალურ დაინტერესებას სიმინდის მოსავლიანობის გადიდებით.

მაგრამ საქმე ჯერ კიდევ ყველგან როდია კარგად. სამუშაოების ცუდი ორგანიზაციის შედეგად არის დასარეველიანებული, გამეჩხერებული ნათესები, ყველგან როდია შეტანილი ორგანული სასუქი, ზოგჯერ უყაირათოდ იყენებენ წყლის რესურსებს, არ რწყავენ მთელი დღეღამის განმავლობაში. აფხაზეთის ასსრ, გეგეჭკორისა და ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ძლიერ გააჭიანურეს სიმინდის ნათესების დამუშავება.

რამდენადაც სიმინდი ძალიან კარგ მდგომარეობაშია, აღნიშნავს მომხსენებელი, ორი-სამი კვირის ან ერთი თვის შემდეგ დადგება მისი მოსავლის სასილოსედ აღების მომენტი. სპეციალური სასილოსე ნათესები ჩვენ არა გვაქვს და ამიტომ ამ მიზნით უნდა გამოვიყენოთ ის ნაკვეთები, სადაც მოსავალი რაიმე მიზეზით ნაკლებია. მომავალ წელს საჭიროა გავითვალისწინოთ ეს მდგომარეობა და წინასწარ დავგეგმოთ სასილოსე ნათესები.

ამხ. მჟავანაძე ახასიათებს მეცხოველეობის მდგომარეობას.

წლევანდელმა არახელსაყრელმა ამინდმა უარყოფითი გავლენა მოახდინა აგრეთვე მეცხოველეობის განვითარებაზე აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს სასწრაფო ღონისძიებანი საზაფხულო საძოვრების ხელახლა გასანაწილებლად და პირუტყვის გადასაყვანად გვალვისაგან დაზარალებული რაიონებიდან იმ რაიონებში, სადაც კარგი ბალახია. ამ რაიონებს დამატებით გამოეყოთ კომბინირებული საკვები. შემოწმებამ დაგვანახვა, რომ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის საზაფხულო საძოვრებზე თითქმის ყველგან შექმნილია ნორმალური პირობები, რაც უზრუნველყოფს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომ გადიდებას.

მაგრამ თუ გვალვისაგან დაზარალდა ძირითადად რესპუბლიკის 5-6 რაიონი, აღნიშნავს მომხსენებელი, სხვა რაიონებში წელს არცთუ ცუდი პირობებია მეცხოველეობის განვითარებისათვის. მაგრამ მთელი რიგი რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოების, კოლმეურნეობათა გამგეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის, პირუტყვის მოვლის, კვებისა და შენახვისადმი ყურადღების შესუსტების შედეგად მეცხოველეობის მდგომარეობა გაუარესდა. მიმდინარე წლის ექვსი თვის განმავლობაში გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით რძის წარმოება შემცირდა 7.940 ტონით. რძის წარმოება ყველაზე მეტად შემცირდა მარნეულის, ასპინძის, გორის, დმანისის, ცაგერის, სტალინირის, ოჩამჩირის და სხვა რაიონებში. ძროხის საშუალო წველადობა ამ ხნის განმავლობაში რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შემცირდა 77 კილოგრამით, ანუ 10 პროცენტით.

უკეთეს მდგომარეობაში როდია ხორცის წარმოება. კოლმეურნეობებმა 31 პროცენტით შეასრულეს ხორცის წარმოების (რეალიზაციის) გეგმა.

დამაკმაყოფილებლად არ მიმდინარეობს მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა სახელმწიფოსათვის. სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 97 პროცენტით, რძისა — 93,4 პროცენტით, კვერცხისა —92.7 პროცენტით.

ამხ. მჟავანაძეს საჭიროდ მიაჩნია, რომ პარტიის რაიკომები და რაიაღმასკომები დაუყოვნებლივ გაერკვნენ და განიხილონ რაიონებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის მდგომარეობის საკითხი, გამოარკვიონ ნაკლოვანებანი და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მათი აღმოფხვრისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პირუტყვის სიკვდილიანობის ლიკვიდაციას, საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის ზრდას, ხორცის, რძის, კვერცხისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებას, აგრეთვე საკვების წარმოებას. საჭიროა უთუოდ შევასრულოთ ორი მილიონი ტონა სილოსის ჩადების ვალდებულება, გავაფართოოთ სიმინდის თესვა ნაწვერალზე, მოვაწყოთ თივის აღება ამისათვის გამოსადეგ ყველა ნაკვეთზე.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ზოგიერთ რაიონში გვალვის მიუხედავად, რეალური შესაძლებლობა აქვთ იმისათვის, რომ უზრუნველყონ პირუტყვი ყველა სახეობის საკვებით მომავალი ზამთრის ბაგური პერიოდისათვის, თუ ისინი მთლიანად გამოიყენებენ ადგილებზე არსებულ დიდ რეზერვებს.

ამხ. მჟავანაძე ანალიზს უკეთებს საბჭოთა მეურნეობების საქმიანობას და ამბობს, რომ რესპუბლიკაში შექმნილია ბევრი ახალი საბჭოთა მეურნეობა. ამჟამად არის 167 საბჭოთა მეურნეობა.

ამ ბოლო დროს პარტიის რაიონული კომიტეტები მეტ ყურადღებას უთმობენ საბჭოთა მეურნეობების საქმიანობას. მაგრამ ამ მეურნეობების ხელმძღვანელობაში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებები. მთელ რიგ მეურნეობებს არ შეუსრულებიათ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, საერთო წველადობის, ცხვრის პარსვისა და სხვა გეგმები. ჯერ კიდევ დიდია საბჭოთა მეურნეობების პროდუქციის თვითღირებულება. ზოგიერთ მათგანში პირუტყვის არადამაკმაყოფილებელი მოვლა-შენახვის გამო პირუტყვის დიდი დანაკლისია.

საბჭოთა მეურნეობების მთავარმა სამმართველომ და მისმა ტრესტებმა მეტი ოპერატიულობა უნდა გამოიჩინონ საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობაში, კონკრეტული პრაქტიკული დახმარება უნდა გაუწიონ მათ, სწორად გამოიყენონ მათ განკარგულებაში მყოფი მრავალი სპეციალისტი. საჭიროა უახლოეს დროში დავამთავროთ საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციის მთელი სამუშაოები, უზრუნველვყოთ 1961 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ვალდებულებათა უთუო შესრულება.

პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ ბრძოლას სახელმწიფო სახსრების მომჭირნეობისათვის, პროდუქციის თვითღირებულების ყოველი ღონისძიებით შემცირებისათვის, იმისათვის, რომ ყველა საბჭოთა მეურნეობა სანიმუშო რენტაბელური მეურნეობა გახდეს.

მომხსენებელი წინააღმდეგია საბჭოთა მეურნეობების ვიწრო სპეციალიზაციისა. მას საჭიროდ მიაჩნია, კერძოდ, რომ საბჭოთა მეურნეობებს ჰყავდეთ ძროხები, ზრდიდნენ მათს სულადობას და პროდუქტიულობას. ეს განსაკუთრებით ეხება წალკის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდანოვკის რაიონების საბჭოთა მეურნეობებს. საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს უნდა მივცეთ საშუალება ფართოდ გამოიყენონ ადგილობრივი რესურსები, რომ აშენონ მეცხოველეობის შენობები.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ რაიონში სწორად ვერ გაიგეს არსი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაგეგმვის ახალი წესისა, რომელიც სრულიადაც არ ნიშნავს კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის შესუსტებას, არამედ, პირიქით, ავითარებს რა მათს ინიციატივას დაგეგმვის საქმეში, ბევრად აძლიერებს პარტიის რაიკომებისა და რაიაღმასკომების პასუხისმგებლობას კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობისათვის. ლაგოდეხის, დუშეთის, წყალტუბოს, თერჯოლისა და ზოგიერთ სხვა რაიონში 1961 წლის გეგმის შედგენისას შეამცირეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა. ახლებურად დაგეგმვა, ამბობს ამხ. მჟავანაძე, ნიშნავს მეურნეობის ისე წარმართვას მიწისა და მთელი დანარჩენი სავარგულების ისე ათვისებას, რომ მეტი პროდუქტები მივიღოთ.

1960 წელს რესპუბლიკაში შეიქმნა მთელი რიგი ახალი ორგანიზაციები. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების, მინერალური სასუქებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გაყიდვის, შეკეთების ორგანიზაციისა და კოლმეურნეობებში მანქანების გამოყენების გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა „საქსოფლტექნიკა“. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი ზრდისა და კვების პროდუქტებზე მოსახლეობის სულ უფრო მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად შეიქმნა საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტრო.

ახალ პირობებში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარი ამოცანაა მიწათმოქმედების კულტურის შემდგომი ამაღლება, ტექნიკური პროგრესის გაფართოება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგში სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების საფუძველზე, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესება, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების განზოგადება და ფართოდ დანერგვა პრაქტიკაში.

რესპუბლიკაში მოწყობილია 53 რაიონული საცდელ-საჩვენებელი მეურნეობა. ეს მეურნეობები ნამდვილად საცდელ-საჩვენებელი უნდა გავხადოთ. მათ ყველაზე კვალიფიციური სპეციალისტები უნდა უწევდნენ მომსახურებას.

მთელი რიგი რაიონების შემოწმებამ, ამბობს მომხსენებელი, გამოარკვია, რომ ცალკეულ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს შესაბამისი დასკვნები არ გამოუტანიათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და წარმოდგენილ ანგარიშებში აქვთ წარმატებანი და ყოველგვარი დამახინჯებანი.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უაღრესად გადამწყვეტი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ ასეთი ფაქტების აღმოსაფხვრელად, ეს მოქმედება უნდა მიიჩნიონ დანაშაულად პარტიისა და ხალხის წინაშე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობებს. საჭიროა ღრმად შევისწავლოთ ამ მეურნეობათა ეკონომიკა, გამოვავლინოთ ყველა შესაძლებლობა და რეზერვები, რათა უახლოეს ხანში მოწინავეთა დონემდე ავიყვანოთ ისინი.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო მოზარდი თაობის აღზრდისა და სწავლების საკითხებს. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და ახალი ადამიანის აღზრდა — აი ორი ძირითადი ამოცანა, რომლებიც წყდება ამჟამად კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში. ამასთან დაკავშირებით განუზომლად იზრდება საბჭოთა საშუალო და უმაღლესი სკოლის როლი, რომელთა მთავარი ამოცანაა უზრუნველყონ ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან სწავლების კავშირის შემდგომი ყოველმხრივი განმტკიცება.

ვემზადებით რა სკკპ მომავალი XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, ჩვენ მოვალენი ვართ პრაქტიკულად გადავჭრათ სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების მატერიალური ბაზის განმტკიცების, სასკოლო მშენებლობის მკვეთრად გაუმჯობესებისა და მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის ამაღლების მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხები.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ის, რომ ახალი 1961-1962 სასწავლო წლის დაწყებიდანვე აღმოვფხვრათ რესპუბლიკის სკოლებში სამ ცვლად მეცადინეობა და განვახორციელოთ საჭირო ღონისძიებანი, რომ 1965 წელს ყველა მოსწავლე ერთ ცვლად მეცადინეობაზე გადავიყვანოთ.

მოსწავლე ახალგაზრდობის წარმატებით მომზადება სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგებში სამუშაოდ შეიძლება მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ გავაუმჯობესოთ მოსწავლეების მიერ მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლის ხარისხი, რომ მათ მიიღონ ფართო ზოგადი და პოლიტექნიკური განათლება. ეს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ იმიტომაც, რომ თუ მეცნიერებათა საფუძვლებს მტკიცედ არ დაეუფლებიან, შეუძლებელია მოვამზადოთ კვალიფიციური სპეციალისტები ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში.

რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა რექტორებმა, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ და პარტიულმა ორგანიზაციებმა ბევრი რამ გააკეთეს ცხოვრებასთან, წარმოებასთან უმაღლესი სკოლის მისაახლოებლად და მეცნიერებისა და ტექნიკის უმაღლეს მიღწევათა შესაბამისად სპეციალისტების მომზადების თეორიული დონის ასამაღლებლად. მაგრამ იმ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა მიხედვით, რომლებიც უკანასკნელ ხანს პარტიამ და მთავრობამ მიიღეს, რესპუბლიკის უმაღლესმა სასწავლებლებმა სახალხო მეურნეობის, კულტურისა და განათლების სხვადასხვა დარგში სამუშაოდ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ მეცნიერების შემდგომ განვითარებაში.

საჭიროა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მეცნიერებმა და კოლექტივებმა მთლიანად შეასრულონ სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი. მთელ მათს შემდგომ მუშაობას საფუძვლად უნდა დაედოს პარტიისა და მთავრობის მოთხოვნების განხორციელება: მხარდამხარ მიჰყვნენ ცხოვრებას, მიიღონ შთაგონება ხალხური შემოქმედების დაუშრეტელი წყაროებიდან, ამზადონ ღირსეული ცვლა — მეცნიერთა ახალგაზრდა თაობა იმ მიზნით, რომ ჩვენმა საბჭოთა მეცნიერებამ უმოკლეს ვადაში ყველა ძირითადი მიმართულებით მოწინავე პოზიციები დაიკავოს მსოფლიოში.

კომუნისტური პარტიის მთელი საქმიანობის ქვაკუთხედი, უმაღლესი კანონი არის ზრუნვა საბჭოთა ადამიანის — კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლის კეთილდღეობისათვის.

ყველაზე მწვავე და მტკივნეული ჯერ კიდევ რჩება საბინაო საკითხი. მართალია, ამ უკანასკნელ ხანს იმის შედეგად, რომ საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნა ათეულ ათასობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, აგრეთვე მოწესრიგდა საბინაო ფონდის განაწილება, ჩივილი ამ მხრივ მნიშვნელოვნად შემცირდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისეთ ადამიანთა რიცხვი, რომლებსაც მწვავედ ესაჭიროებათ ბინა, კვლავ არცთუ მცირეა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამას წინათ მიიღო დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს 2 წლის ვადით შეწყდეს როგორც წესი, საცხოვრებელი ფართობის მიცემა იმ მოქალაქეებისათვის, რომლებსაც დამაკმაყოფილებელი საბინაო პირობები აქვთ, რათა ის პირნი, რომლებიც საკმაოდ არ არიან უზრუნველყოფილნი ბინით და ცხოვრობენ ბარაკებში, დაძველებულ სახლებსა და გამოუსადეგარ სათავსებში და ზოგჯერ წლობით ელოდებიან ბინას, დაკმაყოფილდნენ ბინით მათი რიგითი ნომრის თანახმად.

საქალაქო და რაიონული აღმასკომების მთავარი ამოცანა ის არის, რომ გააუმჯობესონ სამშენებლო და განსაკუთრებით მოპირკეთების სამუშაოთა ხარისხი. ახალ ბინაში რომ შევა, მობინადრემ იქ უნდა მიიღოს საჭირო საყოფაცხოვრებო პირობები.

მნიშვნელოვანი მუშაობა სრულდება რესპუბლიკაში საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი გაშლისათვის, რათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მუდმივად მზარდი მოთხოვნილება სამრეწველო და სასურსათო საქონელზე. სისტემატურად დიდდება მოსახლეობისათვის ხორცის, ძეხვეულის, რძის, ერბო-კარაქის, ბოსტნეულის, შაქრის, საკონდიტრო ნაწარმის, ბამბისა და შალის ქსოვილების, შეკერილი ნაწარმის, ფეხსაცმლის, ავეჯისა და სხვა საქონლის მიყიდვა, მაგრამ მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების ახლანდელი მდგომარეობა, პირველი საჭიროების საქონლითა და კვების პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფა არამც და არამც არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის 1961 წლის პირველი ნახევრის გეგმა რესპუბლიკაში მხოლოდ 95 პროცენტით არის შესრულებული.

სერიოზული ჩამორჩენა საქონელბრუნვის გეგმების შესრულებაში ბევრად აიხსნება იმით, რომ სუსტია თვით ვაჭრობის ორგანიზაცია, რომ უნარიანად და ოპერატიულად ვერ მუშაობენ საცალო სავაჭრო ქსელისა და საბითუმო სავაჭრო ბაზების მთელი რიგი ხელმძღვანელები. სავაჭრო ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტ გავლენას ახდენენ მრეწველობაზე საქონლის ასორტიმენტისა და ხარისხის გაუმჯობესების მხრივ.

ჩვენს რესპუბლიკაში სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში 15.000-ზე მეტი კომუნისტი და კომკავშირელი მუშაობს. თუ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ადგილებზე სწორად გამოიყენებენ ამ დიდ და წამყვან ძალას, გაადიდებენ მათს პირად პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის და ყოველი ღონისძიებით გააძლიერებენ პოლიტიკურ და აღმზრდელობით მუშაობას ვაჭრობის ყველა მუშაკთა შორის, ჩვენ უეჭველად შევძლებთ ძირეულად გავაუმჯობესოთ მოსახლეობის სავაჭრო მომსახურება, მივაღწიოთ საგეგმო დავალებათა შესრულებას, ეფექტიანად ვიბრძოლოთ საბჭოთა ვაჭრობის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ.

შემდეგ ამხ. მჟავანაძე ამბობს, რომ საჭიროა უფრო შეურიგებლად მოვეკიდოთ ყოველგვარ ანტისაზოგადოებრივ საქციელსა და მოვლენებს, კომუნისტური მორალისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე გამოაშკარავდა სერიოზული ნაკლოვანებანი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში წარსულის გადმონაშთების ლიკვიდაციისათვის, კერძომესაკუთრული ტენდენციების გამოვლინების, სოციალისტური საკუთრების დატაცების, თვალისახვევისა, და სახელმწიფოს მოტყუების ფაქტები და დაისახა ღონისძიებანი ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად. პლენუმის გადაწყვეტილებანი მხურვალედ მოიწონეს მშრომელებმა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ბევრი წერილი მიიღო, რომლებშიც მოწონებულია დასახული ღონისძიებანი. რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები უფრო გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებენ ანტისაზოგადოებრივი ელემენტების წინააღმდეგ. ისინი ეყრდნობიან მშრომელთა ფართო მასებს, აშკარავებენ მაქინატორებს, სპეკულანტებს, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დამრღვევთ. მაგრამ ეს მუშაობა უნდა განვაგრძოთ და გავაძლიეროთ.

ამას წინათ პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომელნიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას“. ამ ბრძანებულებამ ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ შეიქმნას ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო პირთა მიმართ შეურიგებლობის ატმოსფერო. საჭიროა ამ საქმეში სრული ძალით გაისმას საზოგადოებრიობის ხმა. ჩვენ არა მარტო უნდა მოვიწონოთ ეს ბრძანებულება, არამედ განუხრელადაც განვახორციელოთ იგი. არ შეიძლება ნება მივცეთ მუქთახორებს არა მარტო ქალაქში, არამედ სოფელშიც, იცხოვრონ უსაქმოდ, ჰქონდეთ საკუთარი მიწის ნაკვეთი, ჰყავდეთ პირუტყვი, მაგრამ არ მუშაობდნენ კოლმეურნეობაში.

პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანა, ამბობს დასასრულ მომხსენებელი, ის არის, რომ სათავეში ჩაუდგეთ შრომით ენთუზიაზმს, რომელმაც მთელი ხალხი მოიცვა. ყრილობისწინა შეჯიბრებას, რომელსაც საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიეცა, სათავეში უნდა ჩაუდგნენ კომუნისტები, პროპაგანდისტები და აგიტატორები. შთაგონებული სიტყვით და პირადი მაგალითით უნდა დავრაზმოთ ადამიანები შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის საბრძოლველად.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გასაძლიერებლად ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია დიდი მუშაობისა, რომელიც უნდა შესრულდეს იდეოლოგიური მუშაობის დარგში სკკპ მომავალ XXII ყრილობასთან და პარტიის ახალი პროგრამის — კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამის მიღებასთან დაკავშირებით. ახლა საქმე ეხება იმას, რომ იდეოლოგიური მუშაობის ყველა ფორმა და საშუალება მოხმარდეს ახალი ადამიანის აღზრდას. საჭიროა გავაფართოოთ და გავაღრმავოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, თანამედროვეობის დონეზე ავიყვანოთ იგი, ყოველი ღონისძიებით გავაძლიეროთ მისი ქმედითობა და მებრძოლურობა.

იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციას კონკრეტული, მიზანსწრაფული ხასიათი უნდა ჰქონდეს, ხელს უწყობდეს იმას, რომ ყოველ საწარმოში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში შეიქმნას შემოქმედებითი შრომის, საზოგადოებრივისა და პირადის ჰარმონიული შეხამების ატმოსფერო.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნარიანად უნდა გამოიყენონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველა საშუალება და ფორმა და მიაღწიონ ყველა საბჭოთა ადამიანის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის შემდგომ აღმავლობას, იმას, რომ ყოველ საბჭოთა ადამიანს ნათლად და ღრმად ჰქონდეს შეგნებული თავისი როლი და ადგილი კომუნიზმისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში, შვიდწლიანი გეგმის კონკრეტული ამოცანების შესრულებაში.

საჭიროა ყველა მშრომელი იცნობდეს არა მარტო წარმოების ზოგად მაჩვენებლებს, არამედ იცოდეს ისიც, თუ რა უნდა გაკეთდეს და რა ვადებში, როგორია შინაგანი შესაძლებლობანი, რეზერვები, როგორ გამოიყენონ ისინი უკეთ.

საჭიროა არა მარტო განვმარტოთ ამოცანები, არამედ კიდევაც დავეხმაროთ მათს გადაწყვეტაში, შევაიარაღოთ მშრომელები წარმოების მოწინავეთა, ნოვატორთა მუშაობის გამოცდილებით, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევებით.

შრომის ნაყოფიერების მკვეთრი აღმავლობისათვის ადამიანთა მატერიალური დაინტერესების პრინციპის ფართოდ გამოყენებასთან ერთად ჩვენ უნდა გავაძლიეროთ მუშაობა იმისათვის, რომ დავნერგოთ მორალური სტიმულები საზო-

კომუნისტი

მე-2 გვერდი, ხუთშაბათი.

20 ივლისი, 1961 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყრილობის აღსანიშნავი ვალდებულებანი

გადოების საქეთილდღეო შრომისათვის. საჭიროა ყოველი ღონისძიებით დავუჭიროთ მხარი და კიდევ უფრო განვავითაროთ სოციალისტური შეჯიბრების უმაღლესი ფორმა — კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების მოძრაობა და სხვა ძვირფასი წამოწყებანი.

ამხ. მჟავანაძე მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კომუნისტები, კომკავშირელები, რესპუბლიკის ყველა მშრომელნი არ დაიშურებენ ძალას, ენერგიას, უნარს, რათა წმიდად შეასრულონ სამშობლოს, პარტიის წინაშე ნაკისრი ვალდებულებანი და პირნათლად შეხვდნენ სკკპ XXII ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობას.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. ა. გეგეშიძემ** ილაპარაკა შრომით და პოლიტიკურ აღმავლობაზე, რომლის ვითარებაში თბილისის მშრომელები ემზადებიან სკკპ XXII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობისათვის.

ქალაქის სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივებმა წარმატებით დაამთავრეს 1961 წლის პირველი ნახევარი. მათ ნახევარი წლის გეგმა ვადამდე, 25 ივნისისათვის შეასრულეს. გამოშვებულია 11.482 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებანი.

გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე საბინაო მშენებლობის ნახევარი წლის გეგმა. ქალაქის მშრომელებმა ამ ხნის განმავლობაში მიიღეს 69 ათასი კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი, მაშინ, როცა გასული წლის პირველ ნახევარში მიიღეს 45 ათასი კვადრატული მეტრი და 1959 წელს 15 ათასი კვადრატული მეტრი.

მრეწველობისა და სამშენებლო ორგანიზაციების მიერ მოპოვებული წარმატებაი პარტიული ორგანიზაციების მხრივ ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შედეგია. ისინი უფრო ღრმად სწვდებიან სამეურნეო ცხოვრების საკითხებს, კონკრეტულ დახმარებას უწევენ წარმოების უკეთ ორგანიზაციაში.

ამასთან ერთად ამხ. გეგეშიძემ გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ საჭიროა მკვეთრად გაუმჯობესდეს საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. იშვიათი როდია შემთხვევები, როცა სავაჭრო ორგანიზაციები იძულებული არიან უარი თქვან ჩვენი საწარმოების მიერ გამოშვებულ საქონელზე.

მიმდინარე წლის ექვს თვეში სავაჭრო ორგანიზაციებმა დაბალ ხარისხში გადაიყვანეს და თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკას გასასწორებლად დაუბრუნეს 121.265 წყვილი ფეხსაცმელი, რაც მთელი პროდუქციის 4,3 პროცენტს შეადგენს. ანალოგიური პრეტენზიები წარედგინა აგრეთვე საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის № 5 ავეჯის ფაბრიკის, ხე-ტყის კომბინატის, საწარმოო კომბინატის, კულტსაგალანტერიო ნაწარმის ფაბრიკისა და მთელ რიგ სხვა საწარმოთა პროდუქციას.

სამწუხაროდ, უხარისხო პროდუქციას უშვებენ მძიმე მრეწველობის საწარმოებიც. ეს ეხება აგრეთვე ისეთ მოწინავე საწარმოებს, როგორიც არის თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა, რომლის პროდუქცია საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში იგზავნება.

ჯერ კიდევ კარგი როდია შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი საბინაო მშენებლობაში.

სამრეწველო პროდუქციის, მშენებლობის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლა პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტიის რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტის ყოველდღიური ზრუნვის საგანი უნდა გახდეს.

შემდეგ ამხ. გეგეშიძე შეეხო საზოგადოებრივი კანონიერების განმტკიცების საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებმა ამ საქმეში გარკვეული დადებითი შედეგები მოიპოვეს, ბრძოლა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევების წინააღმდეგ ჯერ კიდევ საკმაოდ არ წარმოებს და მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. არის სოციალისტური საკუთრების დატაცების ფაქტები, ბოლო არ მოეღო სპეკულაციას. ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დამტაცებლების, ყოველგვარი დამნაშავეებისა და ხულიგნების წინააღმდეგ მთელი საზოგადოების საარსებო საქმე, თვითეული საბჭოთა მოქალაქის მოვალეობა უნდა გახდეს. საზოგადოების ნაძირალების გარშემო ზიზღისა და შეურიგებლობის ატმოსფერო უნდა შეიქმნას.

დასასრულ ამხ. გეგეშიძემ პირობა მისცა პლენუმის მონაწილეებს, რომ თბილისის პარტიული ორგანიზაცია, რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დახმარებით ყოველ ღონეს იხმარენ, რათა წარმატებით გადაჭრან მათ წინაშე დასახული ამოცანები.

—ემზადებიან რა პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის,— თქვა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ **გ. ი. ჩოგოვაძემ**, — სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივებმა ფართოდ გაშალეს შეჯიბრება შვიდწლედის მესამე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნონ.

სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებმა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 103,7 პროცენტით შეასრულეს. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ათეულ მილიონობით მანეთისაზე მეტი პროდუქცია. გრძელდება მუშაობა მრეწველობაში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვისათვის, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციისათვის.

ამ ბოლო დროს ათვისებულია ბევრი ახალი სახეობის პროდუქცია, მათ შორის ცივადნაგლინი და ცივადჭიმული მილები, აზოტირებული ლითონური ზარგანეცი, დოლიანი ჩარხები მილის მრეწველობისათვის, მეორადი ალუმინის შენადნობები, ოთხკილოვატიანი და რვაკილოვატიანი ელექტროვიბრომანქანები, ახალი ტიპების ჩაის საკრეფი, ჩაის დამხარისხებელი და ჩაის სასხლავი მანქანები, ელექტრობურღები, სხვადასხვა საშენი მასალა, კვების პროდუქტები და ფართო მოხმარების საქონელი. ზოგიერთი მათგანი პირველად შეიქმნა ჩვენს რესპუბლიკაში მეცნიერ მუშაკთა, კონსტრუქტორთა და სამრეწველო საწარმოების კოლექტივთა შემოქმედებითი თანამშრომლობით. ასეთია, მაგალითად, ტ-8 მარკის მოდერნიზებული რვაღერძიანი მაგისტრალური ელმავალი, რომლის საცდელი ნიმუში წარმატებით გაივლის გამოცდას ჩვენი ქვეყნის რკინიგზებზე.

მაგრამ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებები და შეცდომები, რომლებიც ხელს უშლიან უფრო მაღალი მაჩვენებლების მოპოვებას. მათი ლიკვიდაცია ჩვენი პირველი რიგის ამოცანაა. 537 საწარმოდან საერთო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა ვერ შეასრულა 80 საწარმომ. მათ ჩვენს ქვეყანას დააკლეს რამდენიმე მილიონი მანეთის პროდუქცია. იმ საწარმოთა შორის, რომლებმაც ვერ შეასრულეს საერთო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმები, დიდ უმრავლესობას შეადგენენ კვების, ენერგეტიკული, სატყეო და ქაღალდის, საფეიქრო და საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოები.

ჩამორჩენა ძირითადად აიხსნება საწარმოთა ხელმძღვანელების სუსტი მუშაობით და მათი საქმიანობისადმი არასაკმაო კონტროლით სახალხო მეურნეობის საბჭოს სათანადო დარგობრივი სამმართველოების, ტრესტებისა და თვით აპარატის მხრივ. ნახევარი წლის გეგმის შესრულება ჩაშალეს სალიბაურის (დირექტორი ამხ. გირკელიძე), ზუგდიდის პირველმა (დირექტორი ამხ. ჩილაჩავა) და ნარაზენის (დირექტორი ამხ. გრიგოლია) ჩაის ფაბრიკებმა. ამ ფაბრიკებში უხეშად არღვევდნენ ფოთლის მიღების ტექნოლოგიასა და წესებს, არ იზრუნეს მუშახელის დაკომპლექტებისათვის ჩაის ფოთლის მასობრივი შემოსვლის პერიოდშიც კი.

ტექნიკური და ტექნოლოგიური უწესრიგობანი, კადრების მოუფიქრებელი განაწილება, წარმოების რეზერვების სუსტად გამოყენება — აი მიზეზი საშენ მასალათა, სატყეო და ქაღალდის და საფეიქრო მრეწველობის მთელ რიგ საწარმოთა ჩამორჩენისა.

შრომის ნაყოფიერების გადიდების ნახევარი წლის დავალებანი მთლიანად სახალხო მეურნეობის საბჭოში შესრულებულია 102 პროცენტით. მაგრამ სატყეო და ქაღალდის მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის სამმართველოებმა, ჭიათურის მარგანეცის, საქართველოს თევზის მრეწველობის ტრესტებმა და საქართველოს ხორცკომბინატმა ეს დავალება ვერ შეასრულეს.

ზოგიერთი ჩვენი ორგანიზაცია, საწარმოთა ხელმძღვანელები საკმაოდ ვერ სწვდებიან წარმოების ეკონომიკას, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ფინანსური და მატერიალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას. ხორციელდება ღონისძიებანი ამ მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად.

მიღებულია ღონისძიებანი აგრეთვე სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის. საიჯარო ორგანიზაციები და პირველ რიგში საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო მოვალენი არიან ყოველი ღონისძიებით გააძლიერონ სამრეწველო მშენებლობის ტემპი და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მიმდინარე წელს ასამუშავებელ ობიექტებს. უფრო ხარისხიანად უნდა ვაშენოთ საცხოვრებელი სახლები და დროზე გადავცეთ ისინი საექსპლოატაციოდ.

— აფხაზეთის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, — თქვა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **მ. თ. ბღაჟბამ**, — წარმატებით ასრულებენ სახელმწიფო გეგმებს. ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის მაღაროელებმა ვადამდე შეასრულეს ნახევარი წლის პროგრამა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს 12 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი. ამას წინათ გაიმართა მეშახტეთა კრებები, რომლებზეც ისინი ენთუზიაზმით ლაპარაკობდნენ შემდგომ ბრძოლაზე პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. მუშაობა გააუმჯობესეს ენერგეტიკოსებმა, მათ შორის ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის კოლექტივმა, რომელმაც ვადამდე შეასრულა ელექტროენერგიის გამომუშავების ნახევარი წლის პროგრამა. გადაჭარბებით შეასრულეს წლის პირველი ნახევრის გეგმა ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა. გაადიდა სამრეწველო პროდუქციის წარმოება, გააუმჯობესა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები მსუბუქი, კვების მრეწველობისა და სხვა დარგების ბევრმა საწარმომ.

მიუხედავად ამისა, სამრეწველო საწარმოებში ჯერ კიდევ ცოტა როდია გამოუყენებელი რეზერვები. ნელა ხორციელდება საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ღონისძიებანი, განსაკუთრებით ადგილობრივი მეურნეობის საწარმოებში.

მზარდი ტემპით წარმოებს კაპიტალური მშენებლობა. მაგრამ სამუშაოთა არასაკმაო მექანიზაციის, მშენებლობებზე ინდუსტრიული მეთოდების სუსტად დანერგვის შედეგად სამრეწველო და განსაკუთრებით საბინაო მშენებლობის ტემპები ჯერ კიდევ საკმარისი არ არის. საქართველოს მშენებლობის სამინისტრომ მეტი ზრუნვა და ოპერატიულობა უნდა გამოიჩინოს მშენებლობებისადმი ხელმძღვანელობაში, უზრუნველყოს სამშენებლო ორგანიზაციები საწარმოო ბაზით და საჭირო ტექნიკით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სკოლა-ინტერნატების მშენებლობის დაჩქარებას.

მემინდვრეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის სერიოზული ვალდებულებანი იკისრეს კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, რომლებმაც გადაწყვიტეს წელს მიაღწიონ აფხაზეთის მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრ აღმავლობას.

პირნათლად ასრულებენ სიტყვას ჩვენი მეჩაიეები. ხარისხოვანი ფოთლის კრეფის ორი თვის — მაისისა და ივნისის გეგმა შესრულდა ვადამდე — 16 ივნისისათვის. ამ დროისათვის მოკრეფილი იყო 11.079 ტონა ფოთოლი, ხოლო 12 ივლისისათვის 16.197 ტონა — წლიური გეგმის 64.8 პროცენტი. ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ უთუოდ შესრულდება ნაკისრი ვალდებულება — მოვკრიფოთ წელს 27.300 ტონა ჩაის ფოთოლი. ამის საწინდარია სოფლის მშრომელთა უდიდესი შრომითი აღმავლობა, რომლებმაც გადაწყვიტეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შეასრულონ 14 სექტემბრისათვის — აფხაზეთის საოლქო პარტიული კონფერენციის გახსნის დღისათვის.

პარტიული ორგანიზაციები მთავარ ყურადღებას აქცევენ ჩაის ფოთლის კრეფაში ჩამორჩენილ მეურნეობათა წამოწევას, რათა გადაიდგას დიდი ნაბიჯი ჩაის შვიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში. მზრუნველობით უვლიან ციტრუსოვანთა ბაღებსა და ვენახებს, სადაც აგრეთვე უზრუნველყოფილია უხვი მოსავალი.

1961 წელი აფხაზეთის სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია სიმინდის წარმოების მნიშვნელოვანი გაფართოებით. ბევრ კოლმეურნეობაში მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ამ ძვირფასი სასურსათო და საკვები კულტურის უხვი მოსავლის მიღებას. დიდი ყურადღება ექცევა უხვმოსავლიან ნაკვეთებს, სადაც ჰექტარზე ნავარაუდევია სულ ცოტა 60 ცენტნერი მარცვლის მიღება.

კარგად უვლიან ნათესებს სოხუმის რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში, გალის რაიონის ლენინის სახელობის, ჯგუბურიას სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში. სოხუმის რაიონის დრანდის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 160 ჰექტარი ნათესი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიიღებენ სულ ცოტა 60 ცენტნერ მარცვალს. ბევრ შრომას ახმარენ სიმინდს გალისა და ოჩამჩირის რაიონების მემინდვრეები, სადაც წელს ამინდის პირობები ხელსაყრელი არ იყო. ამ რაიონებში ზოგ ადგილას სიმინდი სამჯერ დათესეს.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების გარანტიას იძლევიან ჩვენი მეთამბაქოეებიც.

პარტიის საოლქო კომიტეტი, აფხაზეთის მინისტრთა საბჭო, რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანოები ახორციელებენ ღონისძიებებს საზოგადოებრივ მეცხოველეობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის. გაძლიერდა უხეში საკვების დამზადება. ორგანიზებულად მოეწყო პირუტყვის გარეკვა მთის საძოვრებზე. ჩვენ შევასრულებთ დავალებას და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობას ავიყვანთ 38.710 სულამდე, მათ შორის ძროხის სულადობას — 9.000 სულამდე.

სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა 111,1 პროცენტით შესრულდა. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ტყავის, ბეწვის ნედლეულის მიყიდვის დავალებანი. ყველაფერი კეთდება, რათა გადიდდეს რძის წარმოება, გადაილახოს ჩამორჩენა ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში.

ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა უფრო სრულად გამოვიყენოთ არსებული რეზერვები სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე, მშრომელთა გაზრდილი აქტივობა და შემოქმედებითი ენერგია მოვახმაროთ შვიდწლედის მესამე წლის გეგმების, პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლას.

მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება პარტიის XXII ყრილობისათვის, ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისათვის ემზადებიან საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებიც. გაშლილია ბრძოლა ჩაის ფოთლის კრეფის ტემპების გაძლიერებისათვის, ყურძნის, ხილის, თამბაქოს, სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანისათვის, ჩვენი მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. ბევრი ღონისძიება ხმარდება საკვების საჭირო რაოდენობით დაგროვებას, რათა გაიზარდოს მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

— ჩვენი კოლმეურნეები, — თქვა წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის არტელის თავმჯდომარემ **ნ. ს. ყოჩიაშვილმა**, — თავდადებით იბრძვიან შვიდწლედის დავალებათა ვადამდე მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ინერგება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის პროგრესული მეთოდები. მიწათსარგებლობის სტრუქტურის შეცვლისა და თესლბრუნვების გამოყენების შედეგად თავთავიანი მარცვლეული კულტურების ფართობი შემცირებულია მთელი ნათესების 50 პროცენტამდე, ნაცვლად წინანდელი 80 პროცენტისა. ხოლო ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების ფართობი 112 ჰექტარიდან გადიდდა 750 ჰექტარამდე. სიმინდის ნათესებს წინათ ეკავა 258 ჰექტარი, წელს კი 1.944 ჰექტარი უჭირავს.

წარჩინებული მექანიზატორების მანუკოვსკისა და გიტალოვის მიმდევრებმა, კოლმეურნეობის მოწინავე ტრაქტორისტებმა ივანე და სერგო გიგოლაშვილებმა, ანდრია და პეტრე მუჟირიშვილებმა, ბექან ჯამასპიშვილმა და აბრამ ბენაშვილმა ვალდებულება იკისრეს სიმინდი დათესონ კვადრატულ-ბუდობრივი წესით და მთელი ფართობი დაამუშაონ მანქანებით. რაც შეეხება ა. ბენაშვილს, მან ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე პირობა მისცა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს კომპლექსური მექანიზაციით დაამუშაოს 100 ჰექტარი სიმინდის ნათესი და საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 65 ცენტნერი მარცვალი. მექანიზატორები პირნათლად ასრულებენ თავიანთ დაპირებას. სიმინდის თესვა და მანქანური კულტივაცია დროზე და მაღალხარისხოვნად დამთავრდა.

მიუხედავად იმისა, რომ გვალვამ ჩვენს რაიონს დიდი ზიანი მიაყენა, სოფლის მეურნეობის მშრომელები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა არა მარტო შეინარჩუნონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებით მიღწეული დონე, არამედ კიდევაც გაადიდონ იგი, საკმაო რაოდენობით დაამზადონ ზამთრისათვის საკვები. 10 ივლისისათვის რაიონში უკვე ჩადებული იყო 1.100 ტონა სილოსი.

შორს რაიონის ფარგლებს გარეთ ცნობილია მეღორე დავით სეფიაშვილი. შარშან მან გაასუქა 1.005 ღორი, რომელთა საერთო წონა 904 ცენტნერი იყო. წელს მან თავის თანაშემწე ი. ბალაშჩენკოსთან ერთად გადაწყვიტა გაასუქოს 1.600 ღორი.

ჩვენ პრაქტიკით დავრწმუნდით, რომ ჩვენს პირობებში მეცხოველეობის ყველაზე რენტაბელური დარგია მეცხვარეობა, რომელიც შედარებით მცირე დანახარჯით მნიშვნელოვან შემოსავალს იძლევა. მაგალითად, შარშან კოლმეურნეობამ 276 ცენტნერი მატყლი მიიღო. ახლა ვახორციელებთ ღონისძიებებს საადრეო დოლის მოსაწყობად, რაც საშუალებას მოგვცემს მივაღწიოთ კიდევ უფრო მაღალ მაჩვენებლებს.

ორატორმა ილაპარაკა მევენახეობის შემდგომი განვითარების საკითხებზე და აღნიშნა, რომ საჭიროა ტარიბანის ველის მორწყვა. ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობა ბევრად გაადიდებს ვენახების ფართობებს, სიმინდის ნათესებს, გაზრდის სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობას.

მახარაძის რაიონის სოფელ ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის" სახელობის არტელის წარმატებებზე ილაპარაკა მოწინავე კოლმეურნემ **ც. ა. სიხარულიძემ**.

ჩვენ ვალდებულება ვიკისრეთ შვიდწლედის მესამე წელს მოვკრიფოთ 1.300 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 50 ცენტნერი სიმინდის მარცვალი, თვითეულ ძროხაზე მივიღოთ 1.900 კილოგრამი რძე, სახელმწიფოს მივყიდოთ 10.500 კილოგრამი აბრეშუმის პარკი. საუცხოო შედეგებია მიღწეული წლის პირველ ნახევარში. მოვკრიფეთ და სახელმწიფოს მივყიდეთ 708 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 647 ტონისა.

ჩაის ფოთლის კრეფის ორი თვის შედეგების მიხედვით კოლმეურნეობამ პირველი ადგილი დაიკავა რაიონში და მოიპოვა პარტიის გენიჩესკის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც დაწესებულია მახარაძის რაიონსა და უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონის მშრომელთა შეჯიბრებაში. ამ წარმატებით აღფრთოვანებულმა ჩვენმა მეჩაიეებმა გადაწყვიტეს უკვე წელს მიაღწიონ შვიდწლედის დამლევისათვის გათვალისწინებულ მაჩვენებლებს.

შარშანდელთან შედარებით შესამჩნევად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. მტკიცე საფუძველი ჩაეყარა სიმინდის, აგრეთვე ციტრუსოვანთა ნაყოფის უხვი მოსავლის მიღებას.

ამხ. სიხარულიძემ ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ გადავიდა იგი მოწინავიდან მეხუთე ბრიგადის ყველაზე ჩამორჩენილ რგოლში, დაეხმარა ჩამორჩენის დაძლევაში. რგოლს მიჩენილი აქვს 4,7 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. უკვე მოკრეფილია და სახელმწიფოს მიეყიდა 14.600 კილოგრამი ფოთოლი. თვითონ მერგოლურმა დიდი ხანია შეასრულა წლიური გეგმა. მისთვის მიჩენილ ნახევარ ჰექტარ ნაკვეთზე უკვე მოკრიფა 4.800 კილოგრამი ფოთოლი გეგმით გათვალისწინებული 3 ათასი კილოგრამის ნაცვლად.

— კახეთის რაიონების მშრომელები, — თქვა გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა **გ. ზ. პუაძემ**, — არასოდეს არ დაივიწყებენ იმ სასიხარულო დღეებს, როცა მათთან სტუმრად იყო კოლმეურნეთა დიდი მეგობარი, ძვირფასი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი. იგი ესაუბრა ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. უტიაშვილს და ბრიგადირს ამხ. მღებრიშვილს, რომელსაც ვეჯიბრები სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის.

წელს ჩვენი ბრიგადის წევრებმა სიმინდი დათესეს 63 ჰექტარზე ნაცვლად შარშანდელი 28 ჰექტარისა და ვალდებულება იკისრეს უხვმოსავლიანი 30 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიიღონ 110 ცენტნერი მარცვალი, ხოლო დანარჩენ ფართობზე — 68 ცენტნერი.

ჩვენი მუშაობა ძალიან გაართულა ხანგრძლივმა გვალვამ. სიმინდის ნათესები მეჩხერი გამოვიდა. ჩვენ ვაწარმოეთ გამოთესვა, საადრეო მორწყვა და მივაღწიეთ იმას, რომ საკმაო სიხშირის აღმონაცენი გვაქვს. დროზე შევასრულეთ კულტივაცია, შევიტანეთ მინერალური და ორგანული სასუქები. ყოველ ღეროზე უკვე არის 2-3 და 4 ტაროც კი. ახლა თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დავამარცხეთ გვალვა და მივიღებთ სიმინდის კარგ მოსავალს.

სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობამ რაიონში პირველმა შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორბლის მიყიდვის გეგმა. ამ წარმატებაში ჩვენი ბრიგადის შრომის წილიც არის, რომელმაც დათესა 100 ჰექტარი ხორბალი და თვითეულ ჰექტარზე მიიღო 18,4 ცენტნერი მარცვალი. ბრიგადის წევრებმა ნაწვერალზე დათესეს 61 ჰექტარი სიმინდი და ვალდებულება იკისრეს თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 400 ცენტნერი მწვანე მასა სილოსის ჩასადებად.

კოლმეურნეთა სახელით პირობას ვაძლევ პლენუმს, რომ პირნათლად შევასრულებთ ყველა ჩვენს ვალდებულებას, ახალი შრომითი წარმატებებით შევხვდებით სკკპ XXII ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობას.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ნახევარი წლის გეგმა 87,3 პროცენტით შეასრულა. თავის გამოსვლაში მინისტრმა **ს. ს. ლორთქიფანიძემ**, ბუნებრივია, ყურადღება გაამახვილა ჩამორჩენის მიზეზებზე.

— სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების არადამაკმაყოფილებლად შესრულება, — თქვა მან, — უპირველეს ყოვლისა აიხსნება თვით სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებებით. ჯერ კიდევ ცუდად არის ივეთთან ორგანიზებული სამუშაოები მშენებლობებზე, სწორად და მთლიანად ვერ ვიყენებთ მექანიზმებს. ხშირად კოშკურა ამწეების მონტაჟი წარმოებს იმ ობიექტებზე, სადაც მომზადებული არ არის მასალებითა და ნაკეთობებით მომარაგება. თბილისში პეკინის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე, რომელსაც № 2 ტრესტი აწარმოებს, მშენებლობის დამთავრების შემდეგ კოშკურა ამწე სამ თვეს იდგა. ეს მაშინ, როცა ტრესტის სხვა მშენებლობებს ძალზე ესაჭიროებოდათ იგი.

არის შემთხვევები, რომ მშენებელთა ბრიგადები ცდებიან სამუშაო ადგილების მოუმზადებლობის გამო, იმის გამო, რომ უზრუნველყოფილი არ არიან მასალებით, და სხვა მიზეზების გამო.

ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს მშენებლობის მიმდინარეობაზე, ის არის, რომ სამშენებლო ორგანიზაციების საწარმოო ბაზები საკმაოდ არ არის განვითარებული.

ახლა ჩვენს საწარმოებს შეუძლიათ წელიწადში გამოუშვან 177 ათასამდე კუბური მეტრი რკინაბეტონის ნაკეთობა. მაგრამ ეს არ კმარა, რადგან წარმოების მოცულობის ზრდა მნიშვნელოვნად ჩამორჩება კაპიტალური მშენებლობის ტემპებს. ცუდ გავლენას ახდენს მუშაობაზე აგრეთვე სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების ნაკლებობა.

ორატორმა დააყენა საკითხი, რომ საჭიროა რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებს დახმარება გაუწიონ ზემდგომმა ორგანოებმა.

მშენებლობის სამინისტროს მუშაკთა კოლექტივმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად იკისრა მთელი რიგი ვალდებულებანი. გადაწყდა მიმდინარე წლის საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა შესრულდეს 25 დეკემბრისათვის, ხოლო სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმა — 20 დეკემბრისათვის. ჩვენ მიერ ნაკისრი ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ვალდებულებაა ის, რომ უზრუნველვყოთ 20 დეკემბრისათვის 130 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემა. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს ვალდებულება შესრულდება. შესრულდება აგრეთვე ვალდებულება, რომ საექსპლოატაციოდ გადავცეთ 6 დიდპანელიანი სახლი. რესპუბლიკაში პირველი დიდპანელიანი სახლის მონტაჟი მთავრდება ბათუმში.

— თერჯოლის რაიონის მშრომელებმა, — თქვა საქართველოს კპ თერჯოლის რაიკომის პირველმა მდივანმა **პ. პ. ხაზეჩიძემ**, — უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს, მაგრამ ეს წარმატებები საკმარისი არ არის. კოლმეურნეობებს აქვთ სოფლის მეურნეობის კულტურების და განსაკუთრებით მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების დიდი გამოუყენებელი რეზერვები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ სოფლის მშრომელებმა აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი. ისინი ითვალისწინებენ ყოველ ჰექტარზე 60 ცენტნერი ყურძნის მიღებას, ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე 25 ცენტნერი ხორცისა და 125 ცენტნერი რძის წარმოებას. წელს რაიონის კოლმეურნეობები პირველად მიჰყიდიან სახელმწიფოს ათასობით ტონა სიმინდის მარცვალს.

წლის პირველი ნახევრის შედეგები მოწმობენ, რომ თერჯოლელები პირნათლად შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს. გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით რძე მიღებულია 13 ტონით მეტი. წარმატებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და კვერცხის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა. ექვს თვეში კოლმეურნეობებმა გაასუქეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 638 ღორი, თვითეული საშუალოდ 84 კილოგრამი წონისა. ეს შარშანდელზე ორჯერ მეტია.

ჩვენს რაიონში სიმინდს არასოდეს არ მიჰქცევია ისეთი ყურადღება, როგორიც წელს. 5.730 ჰექტარი სიმინდის ნათესიდან 4.020 ჰექტარი უკვე მეორედ გაითოხნა.

ორატორი შეჩერდა აგრეთვე რაიონის სამრეწველო საწარმოთა მუშაობაზე. ტყიბულის ჰესისა და ჩხარის პარკეტის ქარხნის კოლექტივებმა წარმატებით შეასრულეს ნახევარი წლის დავალებები. არ ჩამორჩენილა რაიონის მსხვილი სამრეწველო ობიექტი — აჯამეთის სილიკატური აგურის ქარხანა. ასეთივე მდგომარეობაა ჩოლაბაურის ქვიშის კარიერებში.

ამხ. სახეჩიძემ ილაპარაკა აგრეთვე იმაზე, თუ რა კეთდება რაიონში, რათა ორგანიზებულად მოამზადონ სკოლები ახალი სასწავლო წლისათვის.

თავის გამოსვლაში საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ა. დ. თხილაიშვილმა** აღნიშნა აჭარის მშრომელთა დიდი პოლიტიკური და შრომითი აქტივობა, რაც გამოიწვია სკკპ XXII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობისათვის მზადებამ.

ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე — თქვა მან, — საწარმოთა და მშენებლობათა მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, საკოლმეურნეო ძიხდვრის მშრომელები სასიხარულო შედეგებს აღწევენ. სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს 13 დეკემბრისათვის შეასრულონ წლიური გეგმა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცენ ასეულ ათასობით მანეთის სხვადასხვა პროდუქცია. სოფლის მშრომელთა ვალდებულებებით გათვალისწინებულია მოკრიფონ და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიჰყიდონ 2.600 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 125 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, 1.100 ტონა თამბაქო, 1.800 ტონა კურკოვანი და თესლოვანი ხილი. ყველგან ჩქეფს დაძაბული შრომა ამ პასუხსაგებ ვალდებულებათა შესასრულებლად. წლის პირველი ნახევრის შედეგები მოწმობენ, რომ ქალაქისა და სოფლის მშრომელები შეასრულებენ თავიანთ სიტყვას.

ფართოდ განვითარდა სოციალისტური შეჯიბრების ახალი, უმაღლესი ფორმა— ბრძოლა კომუნისტური შრომის კოლექტივებისა და დამკვრელების წოდებისათვის. აჭარაში ეს საპატიო წოდება უკვე მიენიჭა 96 ბრიგადას. ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის კოლექტივს, რომელიც კომუნისტური შრომის საწარმოს წოდებისათვის იბრძვის, გადაეცა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და სახალხო მეურნეობის საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. შეჯიბრებაში გამარჯვებულთა შორის არიან მანქანათსამშენებლო და გემთსამშენებლო ქარხნები, ქარხანა „ელექტროკარი" და სხვ. მაგრამ აჭარაში არის საწარმოები, რომლებიც წლიდან წლამდე ვერ ასრულებენ საწარმოო დავალებებს. საოლქო პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი მუშაობა უნდა გასწიოს, რათა დაეხმაროს ამ საწარმოებს აღმოფხვრან ჩამორჩენა.

წელს უფრო შემჭიდროებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვა და ნათესების დამუშავება. წარმატებით მიმდინარეობს ჩაის ფოთლის კრეფა. უკვე მოკრეფილია და სახელმწიფოს მიეყიდა 17.350 ტონა, რაც წლიური გეგმის 68,1 პროცენტს შეადგენს.

ერთ-ერთი გამოვლინება მშრომელთა პატრიოტული მისწრაფებისა — დააჩქარონ შვიდწლიანი გეგმის შესრულება— ქობულეთელ მეჩაიეთა თაოსნობაა. მათ მოუწოდეს რესპუბლიკის ყველა მეჩაიეს გაშალონ შეჯიბრება იმისათვის, რომ სამ წელიწადში შეასრულონ ჩაის წარმოების შვიდწლიანი გეგმა. თვითონ მათ ვალდებულება იკისრეს წელს მოკრიფონ 970 ტონით მეტი ფოთოლი, ვიდრე გათვალისწინებულია შვიდწლედის დამლევისათვის. ამ მოწოდებას გამოეხმაურნენ და ჩაის ფოთლის კრეფის მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ ჩაქვის, ოჩხამურის, ცეცხლაურის, სალიბაურის საბჭოთა მეურნეობები, სოფელ ჯვალშენის (ბათუმის რაიონი) კოლმეურნეობა და სხვა მეურნეობანი.

ნაყოფიერად შრომობენ სოფლის მეურნეობის მუშაკები ციტრუსების, ყურძნის, თამბაქოს, ხილის, სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის.

— საერთო და სასაქონლო პროდუქციის ნახევარი წლის გეგმა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანამ 100 პროცენტით შეასრულა, — თქვა საწარმოს დირექტორმა **ნ. ს. კიზივაძემ**, — ჩარხების გამოშვებისა — 101,1 პროცენტით. გეგმის ზევით მეტია გამოშვებული „163" მოდელის სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხები, ვიდრე სკკპ XXII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავი ვალდებულებებით იყო გათვალისწინებული.

ამ ხნის მანძილზე ქარხანამ აითვისა და გამოუშვა ხუთი ახალი მოდელის სპეციალური ჩარხები, მათ შორის მილგადასაჭრელი ჩარხები თხელკედლიანი მილების დასამუშავებლად და დოლური ტიპის უწყვეტი მოქმედების მილგადასაჭრელი ჩარხები დიდი დიამეტრის მილების დასამუშავებლად.

განვლილ ნახევარ წელიწადში მნიშვნელოვნად შესრულდა ტექნოლოგიური მოწყობილობის მოდერნიზაციის, რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის, კადრების მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების ვალდებულებანი.

ეს მიღწევები მთელი კოლექტივის ერთსულოვანი, თავდადებული მუშაობის, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის, ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგია.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ქარხნის მუშაობაში არის ნაკლოვანებანი. ჩვენ სიძნელეებს განვიცდით წარმოების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში, თავის დროზე ვერ ვიღებთ კოოპერირებულ მიწოდებებს.

გამოშვებული ჩარხების ხარისხი უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მაგრამ ჯერ კიდევ არის მომხმარებელთა ცალკეული პრეტენზიები.

ქარხნის კოლექტივი სავსებით იწონებს და მხარს უჭერს მოსკოვის საწარმოთა, მათ შორის ჩარხსამშენებლო ქარხნის „კრასნი პროლეტარის" ძვირფას ინიციატივას — მკვეთრად გააუმჯობესონ სამრეწველო ნაკეთობათა ხარისხი, გაადიდონ მათი საექსპლოატაციო საიმედოობა და გაზარდონ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის საგარანტიო ვადები.

თუ განვახორციელებთ მთელ რიგ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებს, გავაუმჯობესებთ „163" მოდელის სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხის კონსტრუქციას და მისი დამზადების ტექნოლოგიას, ჩვენ წლინახევრით გავადიდებთ ამ ჩარხის საგარანტიო ვადას ნაცვლად ახლანდელი ერთი წლისა.

ამხ. კიზივაძემ აღნიშნა, რომ საჭიროა დახმარება გაეწიოს ქარხანას სპეციალური მძიმე ჩარხების საამქროს მშენებლობაში, საჭიროა დამატებითი დაფინანსება მოწყობილობის შეძენისა და სხვა საჭიროებისათვის.

ჩაის პლანტაციების ფართობის გადიდებასა და ჩაის ფოთლის და სხვა ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების მოსავლიანობის ზრდას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, აღნიშნა თავის გამოსვლაში ჩაისა და სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველმა **ა. გ. ჩიქოვანმა**. დიდი წვლილი უნდა შეიტანონ საბჭოთა მეურნეობებმა იმ ვალდებულებათა შესრულებაში, რომ მოკრიფონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 1965 წელს 200 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 60 ათას ტონაზე მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი, ბევრი დაფნის ფოთოლი, ტუნგო და სხვა კულტურები.

დიდი ამოცანებია დასახული სუბტროპიკული რაიონების საბჭოთა მეურნეობების წინაშე შვიდწლედის მესამე წელს. მათ უნდა მოკრიფონ 31 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 1,267 ტონით მეტი, ვიდრე შარშან, დაამზადონ 5.150 ტონა ციტრუსი. ამას გარდა უნდა გაშენდეს ახალი პლანტაციები.

საბჭოთა მეურნეობების მუშები და სპეციალისტები ძალღონის დაუშურებლად შრომობენ, რომ წარმატებით შეასრულონ როგორც სახელმწიფო დავალებანი, ისე თავიანთი ვალდებულებანი.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველ წელს დიდი სახსრები იხარჯება საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის საბჭოთა მეურნეობებში, მუშათა ნაწილი უზრუნველყოფილი არ არის ბინებით. უნდა გადიდდეს ასიგნობანი ამ საჭიროებისათვის.

სოფლად სავაჭრო ქსელის გაფართოების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის საკითხებს შეეხო ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე **პ. კ. ცაგარეიშვილი**.

წარმატებით სრულდება მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმები, მაგრამ ვერ შესრულდა ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა. სამომხმარებლო კოოპერაციას კარგი მაჩვენებლები არა აქვს საქონელბრუნვაშიც. ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 89,3 პროცენტით, და ეს მაშინ, როცა შარშან ჩვენ ვუსწრებდით ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სამომხმარებლო ორგანიზაციებს. საქონელბრუნვის გეგმების შესრულებაში ჩამორჩებიან აფხაზეთის, აჭარის, ამბროლაურის, გეგეჭკორის, გურჯაანის, ზუგდიდის, მახარაძის, ჩოხატაურისა და მთელი რიგი სხვა რაიონების კოოპერაციული ორგანიზაციები. ეს აიხსნება უმთავრესად იმით, რომ კოოპერაციული ორგანიზაციების და თვით ცეკავშირის ხელმძღვანელები ჯეროვნად ვერ გაერკვნენ, თუ როგორია ვაჭრობის კონიუნქტურა ახალ პირობებში, ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა.

მეტ წილ კოოპერაციულ ორგანიზაციებში აღმოფხვრილია გაფლანგვისა და დატაცების სამარცხვინო ფაქტები, მაგრამ მთლიანად ვერ მოვუღეთ ბოლო ამ სამარცხვინო მოვლენებს. ზოგან ჯერ კიდევ არის უფაქტურო საქონლით ვაჭრობის ფაქტები. მხოლოდ საერთო ღონისძიებებით, საზოგადოებრიობის დახმარებით შევძლებთ მივაღწიოთ და კიდევაც უნდა მივაღწიოთ სანიმუშო საბჭოთა ვაჭრობას.

თავის გამოსვლაში საქართველოს სსრ დამზადებათა მინისტრი **დ. მ. მამულაძე** შეეხო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვის ახალ წესთან დაკავშირებულ საკითხებს. დამზადებათა სამინისტრო, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის რაიონული და სარაიონთაშორისო ინსპექციები დაკომპლექტებულია გამოცდილი მუშაკებით, უმთავრესად სოფლის მეურნეობის სპეციალისტებით.

დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვის საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების დადება ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობასთან. ხორციელდება ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების უზრუნველყოფისა და საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა შესრულებისათვის.

შესყიდვის ბევრი ინსპექცია, მათ შორის ლაგოდეხის, წითელწყაროს, გორის, ახალციხის, ზუგდიდის, მახარაძისა და სხვა რაიონების ინსპექციები ნაყოფიერად მუშაობენ.

სახელმწიფო ინსპექტორები სისტემატურად ამოწმებენ ნათესებისა და მრავალწლიანი ნარგავების მდგომარეობას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ავლენენ ნაკლოვანებებს, ხელს უწყობენ მათ აღმოფხვრას. დმანისის რაიონში ინსპექტორებმა გამოავლინეს ფაქტები, როცა ზოგიერთ რძის ქარხანასა და მიმღებ პუნქტში ხელოვნურად ამცირებდნენ რძის ცხიმიანობას. ასეთივე ფაქტები გამოვლინდა აჭარის რაიონში. აფხაზეთის მთელ რიგ კოლმეურნეობებში გამოირკვა წამატების, აგროზოოვეტერინარული წესების დარღვევის შემთხვევები. ყველა ეს საკითხი განხილულია პარტიის რაიკომებისა და საოლქო კომიტეტების სხდომებზე, დამნაშავენი დაისაჯნენ.

დაიწყო ბოსტნეულისა და ხილის მასობრივი დამზადება. მაგრამ ამ საქმეშიც არის ნაკლოვანებანი. ეს ნაკლოვანებანი უნდა აღმოვფხვრათ და რაც შეიძლება მალე.

შეეხო რა სასოფლო-სამეურნეო კულტურების განლაგების დაგეგმვას, ამხ. მამულაძემ თქვა, რომ საჭიროა გადაისინჯოს ამა თუ იმ კულტურით ცალკეული რაიონების დატვირთვა. მაგალითად, ახლა მეთამბაქოობას მისდევს რესპუბლიკის მხოლოდ რამდენიმე რაიონი, მაშინ როცა მაღალი მთის რაიონებშიც არის ამ შემოსავლიანი კულტურის მოყვანის შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობს მცირემიწიანი კოლმეურნეობების ეკონომიკის განმტკიცებას.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება. (საქტასი).

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

# შეხვედრები ფესტივალზე

მოსკოვი, 18 ივლისი. (საქტასი). გუშინ საღამოს უჩვენეს პოლონური მხატვრული ფილმი „ამაღამ დაიღუპება ქალაქი". ეს კინოდრამა მეორე მსოფლიო ომის ამბების შესახებ უეჭველად ამგვარი ერთ-ერთი ძლიერი ნაწარმოებია. ღრმად არის გამოხატული ფსიქოლოგიური მდგომარეობა ფილმის მთავარი გმირის — პოლონელი მოქალაქისა, რომელიც დრეზდენში ჩავიდა იმ ღამეს, როცა ეს ქალაქი დაბომბვისაგან დაიღუპა.

ფესტივალის მონაწილენი, მაყურებლები, ჟურნალისტები, რომლებიც კინოთეატრ „რუსეთში" იყვნენ, გულითადად მიესალმნენ პოლონელი კინომუშაკების დელეგაციას.

პოლონეთის კინემატოგრაფიის მიღწევები კარგად შეავსო აქვე ნაჩვენებმა დოკუმენტალურმა ფილმმა „ხომალდის შექმნამ".

მაყურებლებმა დიდი სიამოვნება მიიღეს ინგლისის მოკლემეტრაჟიანი ფილმის — „ცხოვრების მდინარის" ნახვით.

დღეს დილით პოლონეთის დელეგაციის პრეს-კონფერენციაზე ეჟი ტოპროვიჩმა ილაპარაკა პოლონეთის კინემატოგრაფიის მდგომარეობაზე, მის წარმატებებზე. მან განაცხადა, რომ პოლონეთში მუშაობს მხატვრული ფილმების სამი სტუდია (უდიდესი — ლოძში), აგრეთვე დოკუმენტალური და მეცნიერულ-პოპულარული სურათების სტუდიები. ისინი ყოველ წელიწადს უშვებენ 25 სრულმეტრაჟიან და დაახლოებით 300 მოკლემეტრაჟიან ფილმს.

დღეს გაიმართა მოსკოვის მეორე საერთაშორისო კინოფესტივალზე ჩამოსული კინოკრიტიკოსების შეხვედრა ჟურნალისტებთან. შეკრებილთ მიესალმა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გაზეთ „პრავდის" მთავარი რედაქტორი პ. ა. სატიუკოვი.

მოსკოვი, 18 ივლისი. (საქტასი). მეცნიერება, კინო და თანამედროვეობა — ასეთია თემა გასაუბრებისა, რომელშიც მონაწილეობდნენ მეცნიერულ-პოპულარული კინოს მუშაკები — მოსკოვის კინოფესტივალის დელეგატები და სტუმრები. ამ შეხვედრის გახსნისას, რომელიც 18 ივლისს გაიმართა, ცნობილმა რეჟისორმა ა. ზგურიდიმ ილაპარაკა კინოხელოვნების საერთაშორისო ფორუმების, როგორც ურთიერთობის, კინოხელოვნების საარსებო პრობლემების შესახებ აზრთა გაზიარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალების მნიშვნელობაზე. ეჭვი არ არის, რომ მოსკოვის მეორე კინოფესტივალი გააფართოებს კინემატოგრაფიის მუშაკთა შემოქმედებითს ურთიერთობას, ხელს შეუწყობს უკეთეს ურთიერთგაგებას, მსოფლიო პროგრესული კინემატოგრაფისტების შემოქმედებითი ძალების კონსოლიდაციას.

კინოდრამატურგ ვასილკოვის მოხსენებაში დასმულია მეცნიერული კინოს ყველაზე აქტუალური პრობლემები. მეცნიერების უდიდესმა მიღწევებმა ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო ინტერესი გამოიწვიეს მისდამი. ამან აიძულა მეცნიერული კინოს მუშაკებიც გამოენახათ კინოპოპულარიზაციის ახალი გამომსახველი საშუალებანი, მიეტოვებინათ ჩვეულებრივი, მოძველებული, ბევრჯერ ნანახი ხერხები.

მეცნიერების მიღწევათა პოპულარიზაციის დროს სავალდებულოა დავიცვათ უმნიშვნელოვანესი პირობა — მეცნიერული სიმართლე. უამისოდ ვერ იარსებებს მეცნიერულ-პოპულარული კინემატოგრაფია, როგორც ადამიანთა აღზრდის მძლავრი საშუალება.

საინტერესო აზრები გამოთქვა ჩეხოსლოვაკიის რეჟისორმა ლ. ტომანმა. მეცნიერების პოპულარიზაცია კინოხელოვნების საშუალებებით მეცნიერული კინოს სავალდებულო ამოცანაა, ამბობს იგი. მაგრამ მხატვარმა არა მარტო უნდა ახსნას, არამედ აგრეთვე აქტიურად გარდაქმნას სამყარო. თუ ავტორივით არ მოვეკიდეთ ფაქტებს, არ გამოვიჩინეთ მგზნებარება და სიხარული, ვერ შევქმნით ნამდვილ ფილმს.

ტომანის აზრით, არსებობს მეცნიერული კინემატოგრაფიის ორი ძირითადი ნაკლი: მისი ლექციურობა, დიდაქტიკურობა და სენსაციისადმი გამოდევნება. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ვერ ვაღწევთ ძირითადს — იმის უნარს, რომ ვუჩვენოთ მეცნიერული გმირობა განვითარებაში, ძიებაში, შრომაში.

კინემატოგრაფიის მეცნიერულ-პოპულარულ და მეცნიერულ-ფანტასტიკურ ჟანრებს შორის კავშირზე ილაპარაკა ცნობილმა იტალიელმა რეჟისორმა ვ. ტოზიმ. მეცნიერული ფანტასტიკის უდიდესი გავრცელება და პოპულარობა ლიტერატურაში გვიჩვენებს, რომ საჭიროა ეს ჟანრი კინოშიც განვითარდეს.

საბჭოთა კინოდრამატურგი ს. ვიტუხნოვსკი ანალიზს უკეთებს საუკეთესო მეცნიერულ-პოპულარული ფილმების წარმატებას და ხედავს მას იმაში, რომ არის სცენარის კარგი საფუძველი, მარჯვე დრამატურგია, ბოლოს მათ შემქმნელთა ოსტატობა, შთაგონება და ტემპერამენტი.

ბ. დოლინმა, ვ. შნეიდეროვმა და ნ. ჟინკინმა (სსრ კავშირი), ს. ოკადამ (იაპონია), ი. დუჟმა (უნგრეთი) ილაპარაკეს საბავშვო მეცნიერული კინოს საკითხებზე, პოპულარული კინემატოგრაფიის დრამატურგიაზე, ამ ჟანრების მომავალზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ბრძოლები ანგოლაში

**ლონდონი,** 18 ივლისი. (საკდესი). პორტუგალიელ კოლონიზატორთა ჯარებმა 2 ათასზე მეტი კაცის შემადგენლობით ავიაციის დახმარებით დაიწყეს შეტევა ჩრდილოეთ ანგოლის აჯანყებულთა წინააღმდეგ, — იუწყება დღეს ინგლისის გაზეთ „დეილი ტელეგრაფის" კორესპონდენტი ლუანდიდან.

„ამ შეტევის მთავარი მიზანი, კორესპონდენტის სიტყვით, ის არის რომ ხელთ იგდონ პარტიზანული მოძრაობის შტაბი, რომელიც ნამბუანგოგოში იმყოფება და მოსპონ აჯანყებულთა ლიდერები".

ცნობაში აღნიშნულია, რომ ლისაბონიდან ანგოლაში იგზავნება ახალი ჯარის ნაწილები. უკანასკნელი ცნობებით, ანგოლაში ახლა სულ არის დაახლოებით 20 ათასი პორტუგალიელი ჯარისკაცი. ახლახან ჩავიდა და უახლოეს დროში მოქმედებას დაიწყებს რაკეტებით შეიარაღებული 12 რეაქტიული ავიაგამანადგურებელი.

**პარიზი,** 18 ივლისი. (საკდესი). იმოწმებს რა პორტუგალიის საინფორმაციო სააგენტოებს, ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ პორტუგალიის დამსჯელი რაზმები გარსშემოერტყნენ რაიონს 100 მილზე ლუანდის ჩრდილოეთიდან.

მაგრამ, მიუხედავად პორტუგალიელ კოლონიზატორთა ახალი მასირებული სადამსჯელო ოპერაციისა, მამაცი ანგოლელი აჯანყებულები კვლავ აფართოებენ საბრძოლო მოქმედების რაიონს. ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ აჯანყებულები შევიდნენ კატეტეს მებამბეობის რაიონში 80 კილომეტრზე ლუანდის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ამასთან დაკავშირებით ლუანდიდან კატეტში სასწრაფოდ გადაჰყავთ პორტუგალიის ჯარები.

ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ აჯანყებულებმა გააძლიერეს მოქმედება დემბოსის რაიონში.

**პარიზი,** 18 ივლისი. (საკდესი). ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობის ბიურო განცხადებაში, რომელიც კონაკრიში გამოქვეყნდა, მიმართავს „მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ადამიანს და დაბეჯითებით მოუწოდებს დაუყოვნებლივ დაეხმაროს 100 ათას ანგოლელ ლტოლვილს" ყოფილი ბელგიისა და ყოფილი საფრანგეთის კონგოს სასაზღვრო რაიონებში.

როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, განცხადებაში ნათქვამია: „ჩვენ დაბეჯითებით მოგიწოდებთ დაეხმაროთ ანგოლელ ლტოლვილებს — ისტორიაში ყველაზე გაფთრებული კოლონიური ომის მსხვერპლთ. ამ ლტოლვილთა სოფლები ნაპალმით აჰგავეს პირისაგან მიწისა. არსებობს სერიოზული საფრთხე, რომ ლტოლვილთა შორის იფეთქებს სხვადასხვა ინფექციური დაავადების ეპიდემიები და შიმშილი".

## კარლ ერიქსონი: რუსები ძალიან გულითადი ადამიანები არიან

**ოტავა,** 19 ივლისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან დაბრუნდა კანადის პროფკავშირთა დელეგაცია. ამ დელეგაციის წევრმა — კარლ ერიქსონმა თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებანი გაუზიარა გაზეთ „კომონუელსის" მკითხველებს, რომელიც გამოდის ქალაქ რეჯაინაში (სასკაჩევანი). ერიქსონი აღტაცებულია საბჭოთა ქვეყნით, რომელმაც პირველმა გაკვალა კოსმოსის გზა. იგი აღნიშნავს ფართო მასშტაბის საბინაო მშენებლობას მოსკოვსა და სტალინგრადში, მაღალ მექანიზაციას მოლდავეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

„მე დავინახე, — წერს იგი, — რომ რუსები ძალიან გულითადი ადამიანები არიან. ისინი დიდი პატივისცემით ეპყრობიან კანადელებს და ფრიად დაინტერესებული არიან სხვა ქვეყნების ხალხებთან ურთიერთობის განვითარებით. მეტწილ ქალაქებში არის საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის საზოგადოება. ყველა პროფკავშირს აქვს საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილება. საბჭოთა პროფკავშირები დიდ ღონისძიებებს ახორციელებენ ყველა ქვეყნის მშრომელებთან მეგობრული კონტაქტების დასამყარებლად და გასაფართოებლად".

დარწმუნებული ვარ, დაასკვნის ერიქსონი, რომ ჩვენ შორის არ არსებობს პრობლემები, რომელთა მოლაპარაკების გზით გადაჭრა არ შეიძლებოდეს. იმედი მაქვს, რომ კანადისა და საბჭოთა კავშირის ადამიანები შეძლებენ კვლავაც შეხვდნენ ერთმანეთს. ასეთი გზით შევძლებთ ვითანამშრომლოთ ისევე ნაყოფიერად, როგორც მეორე მსოფლიო ომის წლებში ვთანამშრომლობდით. თანამშრომლობა ერთადერთი საღი და გონივრული მიდგომაა საერთაშორისო პრობლემების გადაჭრისადმი ატომური იარაღის საუკუნეში.

## დე გოლის რეჟიმი — თავისუფლების მუქარა

**პარიზი,** 18 ივლისი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრმა და ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჟაკ დიუკლომ დღეს გაზეთ „ლუმანიტეს" ფურცლებზე გააკრიტიკა დე გოლის რეჟიმის ანტიდემოკრატიული ხასიათი საფრანგეთის რადიოთი და ტელევიზიით დე გოლის ამასწინანდელი გამოსვლის გამო. დიუკლომ აღნიშნა, რომ, თუმცა ამ სიტყვის მიზანია დაფაროს ანტიდემოკრატიული პოლიტიკა, იგი მხოლოდ ახალი დადასტურებაა ამ პოლიტიკისა.

„რესპუბლიკის პრეზიდენტის სიტყვის ყველა მომენტიდან, — წერს დიუკლო, — უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ ზიზღი, რომელიც მან გამოთქვა იმის მიმართ, რასაც უწოდა წვრილმანი თამაში წარმომადგენლობის, თვითმმართველობისა და პროფკავშირების გამო". დიუკლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დე გოლის სიტყვა მიმართულია „ყველა მოქალაქის წინააღმდეგ, რომლებიც ენდობიან დემოკრატიულ პარტიებსა და ორგანიზაციებს".

„ცდილობს რა დააწყებინოს ხალხს თავისი პოლიტიკის ანტიეროვნული ხასიათი, — აღნიშნავს დიუკლო, — დე გოლი თავს გვესხმის ჩვენ (კომუნისტებს. — რედ.), როცა ლაპარაკობს „ტოტალიტარული უცხო სახელმწიფოს აგენტების შესახებ". ის უცნაურად მოგვაგონებს იმას, რასაც პეტენი და მისი ხელშემწყობნი ლაპარაკობდნენ ჩვენი პარტიის შესახებ, როცა ვიბრძოდით პირველ რიგებში სამშობლოს განთავისუფლებისათვის...

„წარმოთქვამს რა ამგვარ სიტყვებს, — წერს შემდეგ დიუკლო, — რომლებიც საფრთხეს უქმნიან იმ თავისუფლებებს, რაც ჯერ კიდევ შერჩა საფრანგეთს, და ემუქრებიან იმათ, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლება, დე გოლი ერთი სიტყვითაც არ მოიხსენიებს მოღალატე გენერლებს, რომლებსაც პასუხისმგებლობა აკისრიათ აპრილის სახელმწიფო გადატრიალებისათვის.

„ყველაფერი ეს, — ხაზგასმით აღნიშნავს დიუკლო, — მოწმობს, რომ მჭიდრო დამნაშავეობრივი კავშირი არსებობს მეამბოხეთა და დეგოლელთა შორის, რომლებიც მათ დააყენეს ხელისუფლების სათავეში, რადგან 1961 წლის აპრილის სახელმწიფო გადატრიალება მოაწყეს სწორედ იმ ადამიანებმა, რომლებმაც მოახდინეს 1958 წლის 13 მაისის სახელმწიფო გადატრიალება, რის შედეგად დე გოლი სათავეში ჩაუდგა ხელისუფლებას.

ამ პირობებში პრეზიდენტის სიტყვამ, რომელმაც არაფერი არ თქვა კონსტიტუციის მე-16 მუხლის შესახებ, (ეს მუხლი სახელმწიფოს მეთაურს პრაქტიკულად ანიჭებს დიქტატორის უფლებებს. — რედ.), რომელსაც ჯერ კიდევ იყენებენ, ცხადყო საფრთხე, რითაც ჯერ კიდევ არსებულ თავისუფლებებს ემუქრებიან მეამბოხეთა დაჯგუფებანი, მათი შეთქმულთა ჯგუფები და ტერორისტების ბანდები, რომლებსაც საშუალება აქვთ სრულიად დაუბრკოლებლად ჩაიდინონ თავიანთი დანაშაულებრივი საქმეები.

ასეთ ვითარებაში უფრო მეტად საჭიროა მუშებისა და დემოკრატიული ძალების კავშირი. ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა, რომ, გარდა ანტიფაშისტური კომიტეტებისა, რომლებიც შეიქმნა მიმდინარე წლის აპრილში, შეიქმნას აგრეთვე კომიტეტები, რომლებიც გააერთიანებენ ყველა რესპუბლიკელს ერთობლივი ბრძოლისათვის. უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე საჭიროა შეიქმნას ყველა იმათი საბრძოლო კავშირი, ვისაც უნდა იბრძოლოს დემოკრატიული თავისუფლებების დასაცავად და მათი გაფართოებისათვის".

პრეზიდენტ კენედის განკარგულებით ა. წ. 16 ივლისიდან შეერთებულ შტატებში ტარდება ეგრეთწოდებული „დამონებული ქვეყნების კვირეული". ასეთი „კვირეულის" მოწყობა ახალი არ არის, ის უკვე თავის დროზე გამოაცხადა ყოფილმა პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა, რაც ითვალისწინებს სოციალისტურ ქვეყნებში კაპიტალისტური წესწყობილების დაბრუნების ცდას.

(გაზეთებიდან).

### დოლარის „ლოგიკის" კვირეული.




ნახ. გ. ლომიძისა.

## ჩომბეს ავაზაკთა ახალი დანაშაული

**ნიუ-იორკი,** 19 ივლისი. (საკდესი). ჩომბეს შეიარაღებულმა ბანდებმა უპრეცედენტო აქტი ჩაიდინეს, სრულიად უსაბაბოდ თავს დაესხნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების კონტინგენტს კონგოში.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ელიზაბეტვილიდან იუწყება, კატანგის ჟანდარმთა რაზმი თავს დაესხა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების ინდოელ ჯარისკაცებს, რომლებიც იცავდნენ ღობურს კაცებს, რომლებიც იცავდნენ ღობურს ნიემბის (ჩრდილოეთ კატანგა) გზაზე. „ცისფერი მუზარადები" იძულებული იყვნენ თავდაცვის მიზნით დაეწყოთ საპასუხო სროლა. შეტაკების დროს გამოიყენეს არტილერია. ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუ რა ზარალი მოუვიდათ ინდოელ ჯარისკაცებს.

ჩომბეს ავაზაკთა დანაშაული იმის შედეგია, რომ კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობა წაყრუებით ეკიდება კოლონიზატორთა დაქირავებულ აგენტებს. მან დროზე არ მიიღო ღონისძიებანი ჩომბეს ბანდების განიარაღებისათვის.

## რეპრესიები გვატემალაში

**ნიუ-იორკი,** 18 ივლისი. (საკდესი). პრენსა ლატინას სააგენტო ტეგუსიგალპიდან (ჰონდურასი) იუწყება: გვატემალაში გრძელდება რეპრესიები, რომლებიც იდიგორას ჰუენტესის მთავრობამ დაიწყო 12 ივლისს მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ცნობა, რომ გამოაშკარავდა „შეთქმულება არსებული ხელისუფლების დამხობის მიზნით".

14 ივლისს საღამოს მთელ გვატემალაში საალყო წესები გამოცხადდა. მარტო ქალაქ გვატემალაში დააპატიმრეს 100-ზე მეტი კაცი, ამასთან დაპატიმრებულთა ვინაობას საიდუმლოდ ინახავენ.

გვატემალის პოლიციამ ჩხრეკა მოახდინა ბევრ კერძო სახლში, ეძებდა „შეთქმულებს", შეიარაღებული ჯარისკაცები იცავენ მთავრობის შენობებს და პატრულობენ ქუჩებს.

გვატემალელი ლტოლვილების აზრით, იდიგორასმა „შეთქმულება", რომელიც მან თითქოს გამოააშკარავა, გამოიყენა ახალი რეპრესიების საბაბად იმ მიზნით, რომ შეაკავოს მზარდი გამოსვლები მთავრობის წინააღმდეგ".

გვატემალელი ლტოლვილები აღნიშნავენ, რომ უმთავრესად ეკონომიური კრიზისის გავლენით ძლიერდება გვატემალის ხალხის მასების ბრძოლა თავიანთი უფლებებისათვის.

იზრდება პროტესტები, ძლიერდება მუშათა, გლეხთა და მოსამსახურეთა ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნები, იმართება სტუდენტთა დემონსტრაციები და გაფიცვები, ფართოვდება კუბის რევოლუციისადმი სოლიდარობის მოძრაობა.

## იური გაგარინი კანადაში მიიწვიეს

**ნიუ-იორკი,** 18 ივლისი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, თვალსაჩინო ამერიკელმა ფინანსისტმა და საზოგადო მოღვაწემ საირუს იტონმა საბჭოთა კოსმონავტი იური გაგარინი მიიწვია იტონის სამშობლოში, კანადის პროვინცია ახალ შოტლანდიაში.

## სსრ კავშირის დახმარებით

**ჯაკარტა,** 18 ივლისი. (საკდესი). დღეს ინდონეზიის პრეზიდენტი სუკარნო იყო დიდი სასპორტო კომპლექსის მშენებლობაზე, რომელიც ჯაკარტაში საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით შენდება. პრეზიდენტი და მისი თანმხლებნი — მთავრობის მინისტრები, სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებული ინდონეზიაში ბ. ე. კირნასოვსკი, აგრეთვე საბჭოთა და ინდონეზიელი სპეციალისტები იყვნენ მთავარ სასპორტო ასპარეზზე, საცურაო აუზის, სასპორტო ასპარეზობათა მოედნის მშენებლობაზე.

პრეზიდენტი სუკარნო გამოვიდა მშენებელთა წინაშე უკვე მზა მრგვალ სასპორტო დარბაზში, მადლობა გადაუხადა საბჭოთა სპეციალისტებს და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვნად წაიწია წინ სამუშაოებმა ყველა ობიექტზე.

## წიგნი მუშათა ამერიკის შესახებ

**ნიუ-იორკი,** 18 ივლისი. (საკდესი). საკდესის კორესპონდენტი ს. ლური იუწყება:

ამერიკულ ლიტერატურაში მოხდა ფრიად არაჩვეულებრივი ამბავი: გამოვიდა დიდი რომანი თანამედროვე მუშათა კლასის ცხოვრების შესახებ. ეს არის ამაღელვებელი, გულწრფელი მოთხრობა ამერიკელ მუშებზე, მათ ცხოვრებაზე, მუშაობაზე, ოჯახებზე, ბრძოლაზე.

რომანი „ჯადოსნური გვიმრა" დაწერა ფილიპ ბონოსკიმ. რომანის სახელწოდება აღებულია ძველი ლეგენდიდან იმ ადამიანებზე, რომლებიც სხვების ბედნიერებისათვის იბრძვიან და თავისთვისაც პოულობენ მას.

ბონოსკი დაიბადა და გაიზარდა დუკეინში, მუშათა დაბაში პიტსბურგის — ამერიკის მეტალურგიის გულის ახლოს. ახალგაზრდობაში იგი მუშაობდა მეტალურგიულ ქარხნებში და კარგად იცნობს ამერიკელი მეტალურგების ცხოვრებას. მას ახლაც ბევრი მეგობარი ჰყავს მუშებში და უმუშევარ მეფოლადეებში.

ბონოსკის რომანი მღელვარე მოთხრობაა ამერიკის საქარხნო დაბის ცხოვრებაზე. მკითხველი მღელვარებით ადევნებს თვალყურს ლეო იომეიტისს — რომანის ერთ-ერთ გმირს. იგი თითქოს მასთან ერთად დგას რიგში ქარხნის ჭიშკართან, მოელის სამუშაოზე მიღებას. მასთან ერთად იბრძვის იგი კომპანიების აგენტების წინააღმდეგ პროფკავშირებში და ჯერ გაუბედავად, ხოლო შემდეგ მტკიცედ, გაბედულად გაიფიცება ქარხნის მეპატრონეთა წინააღმდეგ.

მკითხველი ინტერესით ადევნებს თვალყურს იმას, თუ როგორ აღწევენ ახალი საცხოვრებელი სახლების აშენებას ზანგი კომუნისტი კალვინ ბრუქსი და მისი ცოლი ლეონა. მღელვარებით იკითხება ფურცლები ორი ახალგაზრდა ზანგის ბრძოლის შესახებ, რომელთაც ყალბად დადეს ბრალი მკვლელობაში.

მკითხველი განიცდის კომუნისტ რუტა იომეიტისის ბრძოლის ყოველ ნაბიჯს იმის წინააღმდეგ, რომ დიდი მეტალურგიული ქარხნები წამლავენ ჰაერს, რომ მუშებს აკისრებენ ახალ გადასახადებს.

ბონოსკის წიგნი თანამედროვე ცხოვრების ფართო ტილოა. ავტორი რამდენიმე წელიწადს მუშაობდა მასზე და კარგად უჩვენა თანამედროვე მუშათა ამერიკა.

## იაპონია იარაღდება

**პარიზი,** 19 ივლისი. (საკდესი). იაპონიის მთავრობამ გუშინ მიიღო მეორე ხუთწლიანი „პროგრამა თავდაცვისა". როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ტოკიოდან იუწყება, ამ პროგრამით, რომლის განხორციელება 1962 საფინანსო წელს დაიწყება, თავდაცვის სახმელეთო ძალების პირადი შემადგენლობა 180 ათას კაცამდე გადიდდება. სახმელეთო ჯარები აღჭურვილ იქნება 225 მსუბუქი და 120 საშუალო ტანკით, ორი ბატალიონი აღიჭურვება „ნიკას" და „ჰოკის" რაკეტებით.

თავდაცვის საზღვაო ძალების გემების საერთო ტონაჟი აყვანილ იქნება 143.669 ტონამდე, მათ შორის იქნება ოთხი საესკადრო ნაღმოსანი თითოეული 3.000 ტონა წყალწყვისა და შვიდი საესკადრო ნაღმოსანი თითოეული 2.000 ტონა წყალწყვისა, ხუთი წყალქვეშა ნავი თითოეული 1.600 ტონა წყალწყვისა. თავდაცვის საზღვაო ძალებს 1966 წლისათვის ექნებათ აგრეთვე 235 თვითმფრინავი.

საჰაერო თავდაცვის ძალებს ექნებათ 1.036 თვითმფრინავი, ამასთან შვიდი საავიაციო ნაწილი აღიჭურვება „ლოქჰიდ-104" რეაქტიული ავიაგამანადგურებლებით. ამ პროგრამის განსახორციელებლად განზრახულია ასიგნებულ იქნეს 1.166.390 მილიონი იენი.

---

# კომუნისტი — სპორტი

## რევანში არ შედგა

„დინამო" (თბილისი) — სკა (დონის როსტოვი) — 1:1 (0:1). თბილისი. 19 ივლისი. „ბურევესტნიკის" სტადიონი. მსაჯი — ვ. კაზაკოვი.

სკა — ვ. სკარლიგინი, ა. ბუშჩინი, ვ. ნოსოვი, ი. აფონინი, ა. ჩერტკოვი, ი. შიკუნოვი, ვ. სტრეშნი, ვ. ანდრიენკო, ვ. პონედელნიკი, ო. კოპაევი (ა. ლევჩენკო), ი. მოსალევი; „დინამო" — ს. კოტრიკაძე, გ. ჩოხელი, ე. თორაძე, გ. ხოჯოლავა, ჯ. ზეინკლიშვილი, შ. იამანიძე, ი. დათუნაშვილი, ვ. ბარქაია (თ. მელაშვილი), ზ. კალოევი, გ. სიჭინავა, მ. მესხი.

**მეხსიერებიდან** ჯერ არც კი იყო გამქრალი საოცარი ბრძოლის ეპიზოდები, გაოგნებული მაყურებლები არ განთავისუფლებულა „ტორპედოსა" და „დინამოს" სპორტული პაექრობის „ტყვეობიდან", რომ სტადიონი კვლავ მღელვარებამ, განცდებმა მოიცვა.

ეს იყო გუშინ სკა-სა და „დინამოს" მატჩში.

თავიდანვე ცხადი გახდა, რომ ხარკოვის „ავანგარდისაგან" განაწყენებულ როსტოველ ფეხბურთელებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ემოქმედათ ფართე ფრონტით, მაღალი ტემპით, დინამოელებისათვის არ მიეცათ მოფიქრებისა და ბრძოლის აწყობის საშუალება, როგორმე პირველებს გაეხსნათ ანგარიში, პანიკაში ჩაეგდოთ მეტოქე.

შეიძლება ითქვას, რომ სტუმართა ეს ვარაუდი გამართლდა. ისინი მეტწილად ფლობდნენ მოედნის შუა გულს, თავდამსხმელებთან ერთად იერიშებში აქტიურად ებმებოდნენ ნახევარმცველები და ქმნიდნენ „კარის აღების" რეალურ საფრთხეს.

ასეთ ვითარებაში საჭირო იყო სიმშვიდე, ბრძოლის განეიტრალება, კონტრთამაშის შექმნა. მაგრამ დინამოელები მოქმედებდნენ მდორედ, „უცეცხლოდ".

როსტოველთა იერიშებს, ახალი კომბინაციური გართულებები მოჰყვა, და, როგორც იტყვიან მომწიფდა საგოლო მომენტები. აი შედეგიც — მე-11 წუთზე დინამოელთა კარში პირველი ბურთი აღმოჩნდა. მარცხენა ფრთიდან ჩამოწოდებულ ბურთს თავი დაუხვედრა ღიად დატოვებულმა სტრეშნიმ, რის წინააღმდეგ კოტრიკაძე უძლური აღმოჩნდა.

ასე იყო „ტორპედოსთანაც". პირველი ბურთი სტუმრებმა გაიტანეს, მაგრამ მას მოჰყვა დინამოელთა შესანიშნავი კონტრთამაში, განუწყვეტელი იერიშები, შტურმი. ამასვე მოელოდნენ მაყურებლები ახლაც, მაგრამ მოლოდინი როდი გაუმართლდა. მართალია მასპინძელთა თამაშს მეტი შეუპოვრობა დაეტყო, იყო ისეთი მომენტები, როდესაც დინამოელთა თავდამსხმელები პირისპირ იდგნენ მეკარესთან, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოხერხდა, ბურთი ღია კარს ცდებოდა.

45 წუთი ამოიწურა. ტაიმის შედეგი იყო 1 : 0 როსტოველთა სასარგებლოდ.

შეჯიბრების მეორე ნახევრის დასაწყისს დინამოელთა ორგანიზებული იერიშები მოჰყვა. როსტოველთა კარი განუწყვეტელ საფრთხეში იყო. ახლა უკვე სტუმრებს მოუხდათ დაცვაზე ფიქრი. მარჯვენა ფრთაზე აქტიურად მოქმედებდა დათუნაშვილი, ზეინკლიშვილი, მარცხენა ფრთაც უფრო აქტიური გახდა, ხშირი იყო კუთხურები.

ყოველივე ეს მალე გოლით დაგვირგვინდა. მე-9 წუთზე ჩოხელისა და ზეინკლიშვილის კომბინაცია კალოევის შესანიშნავი თავური დარტყმით დაგვირგვინდა — 1 : 1.

სწორედ აქ, როდესაც თამაშში გარდატეხა მოხდა, დინამოელებს ტემპი არ უნდა შეენელებიათ, თითქოს ისინიც ამისაკენ ისწრაფოდნენ და ნაწილობრივ ახერხებდნენ კიდევაც, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა.

სტუმრებმა ტემპის შესანელებლად ახალ ხერხს — უხეშობასაც მიმართეს. თამაშმა უფერული სახე მიიღო. ბოლო წუთებში იყო შემთხვევები, როდესაც ორივე კარი ძელმა იხსნა, ამასთანავე მოწინააღმდეგეებმა ვერ გამოიყენეს რეალური შესაძლებლობები.

რევანში არ შედგა, მატჩი დამთავრდა ფრედ 1 : 1.

მსაჯთა ოთახში, როდესაც შეავსეს ოქმი არმიელ ფეხბურთელებს, გარდა კოპაევისა და ლევჩენკოსი, ჰქონდათ შეფასება 4, ხოლო ორ უკანასკნელს — 3. დინამოელებმა მიიღეს შეფასება — კალოევმა — 5, კოტრიკაძემ, ჩოხელმა, ზეინკლიშვილმა, დათუნაშვილმა და სიჭინავამ — 4, ხოჯოლავამ, თორაძემ, იამანიძემ, მესხმა — 3, ბარქაიამ — 2.

ვ. გაბელია.



კრიტიკული მომენტი როსტოველთა კართან.

ფოტო ბ. დადვაძისა.

### კრამერის „ცირკი" თბილისში

**ჩვენი** ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში მოგზაურობის შემდეგ ამერიკელ პროფესიონალ ჩოგბურთელთა დასი კრამერის მეთაურობით თბილისს ეწვია. სტუმრებმა დაათვალიერეს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობები.

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში მაყურებლები ნახავენ თანამედროვეობის უმაღლესი კლასის ჩოგბურთელებს, მათ ოსტატობას. კრამერის „ცირკის" წარმომადგენლები ერთმანეთში მოაწყობენ რამდენიმე შეხვედრას. ჩატარდება, როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა გამოსვლები.

### საერთაშორისო მატჩი ქუთაისში

**ქუთაისი,** 19 ივლისი. (საქ. კორ.). დღეს აქ გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში სუდანის ნაკრებისა და ქუთაისის „ტორპედოს" გუნდებს შორის.

პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა. შეჯიბრების მეორე ნახევარში მოწინააღმდეგეებმა თითო ბურთი გაიტანეს და მატჩი ფრედ დაამთავრეს.

### უცხოეთის ფეხბურთი

## ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე

**მსოფლიო** ჩემპიონატის მოახლოებასთან დაკავშირებით ევროპის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა წელს სხვანაირი წესით ჩაატაროს ჩემპიონთა თასის გათამაშება. თუ აქამდე ყოველი ტურის წინ ხდებოდა წილის ყრა, ახლა შედგენილია ორი ქვეჯგუფი, რომლებშიც გამარჯვებულნი ფინალში გავლენ და ერთმანეთს შეხვდებიან მომავალი წლის მაისის შუა რიცხვებში ამსტერდამში.

აი ეს ქვეჯგუფები:

**პირველი** — ვარშავის „ლეგია" (პოლონეთი) — ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპური" (ინგლისი), „იფკ გეტებორგი" (შვეცია) — როტერდამის „ფეიენოორდი" (ჰოლანდია), ბერლინის „ფორვერტსი" (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) — „ფკ ლინფილდი" (ჩრდილოეთ ირლანდია), „სპორა" (ლუქსემბურგი) — კოპენჰაგენის „ბოლდკლუბენი" (დანია), „ფკ ნიურნბერგი" (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) — დუბლინის „დრუმკონდრა" (ირლანდია), ლიეჟის „სტანდარტი" (ბელგია) — „ფრედერიკსტადი" (ნორვეგია), „ას მონაკო" (საფრანგეთი) — „გლაზგო რენჯერსი" (შოტლანდია). ამ ჯგუფში პირველი შეხვედრიდან თავისუფალია ფინეთის ჩემპიონი „მალკაკოსკენი".

**მეორე** — ჟენევის „სერვეტი" (შვეიცარია) — „ჰიბერნიანი" (მალტა), ათენის „პანათინაიკოსი" (საბერძნეთი) — ტურინის „იუვენტუსი" (იტალია), ბუქარესტის ჩჩა (რუმინეთი) — ვენის „ავსტრია" (ავსტრია) და სხვ.

## სსრ კავშირის პირველობაზე

**გუშინ** ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში შედგა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მატჩები ფეხბურთში „ა" კლასის გუნდებისათვის.

**ვორონეჟში** თამაშობდნენ პირველი ქვეჯგუფის აუტსაიდერები — ვილნიუსის „სპარტაკი" და ვორონეჟის „ტრუდი". შეჯიბრება დამთავრდა „ტრუდის" გამარჯვებით ანგარიშით 6:0.

**ხარკოვში** სტალინოს „შახტიორი" შეხვდა ხარკოვის „ავანგარდს". მატჩის შედეგია 3 : 2 „ავანგარდის" სასარგებლოდ.

**ბაქოში** სსრ კავშირის ჩემპიონის მოსკოვის „ტორპედოსა" და ბაქოს „ნეფტიანიკის" გუნდების შეჯიბრება დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით 7:1.

**მოსკოვში** დიდი ინტერესი გამოიწვია მეორე ქვეჯგუფის ლიდერების ცსკა-სა და კიევის „დინამოს" გუნდების თამაშმა, შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1 : 1.

**ალმა-ატაში** ადგილობრივი „კაირატისა" და ერევნის „სპარტაკის" გუნდების მატჩის შედეგია 1:0 ერევნელთა სასარგებლოდ.

**ტაშკენტში** მეორე ქვეჯგუფის აუტსაიდერმა ტალინის „კალევმა" ტაშკენტის „პახტაკორთან" შეხვედრაში მატჩი ფრედ — 0:0 დაამთავრა.

**ლენინგრადში** მოსკოვის „სპარტაკისა" და ლენინგრადის „ზენიტის" გუნდების მატჩის შედეგია 6 : 2 „სპარტაკის" სასარგებლოდ.

### გათამაშების ცხრილები

პირველი ქვეჯგუფი

მდგომარეობა 20 ივლისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" (მ.) | 15 | 12 | 1 | 2 | 39:18 | 25 |
| „ავანგარდი" (ხ.) | 16 | 8 | 5 | 3 | 17:12 | 21 |
| „დინამო" (თბ.) | 16 | 8 | 4 | 4 | 27:16 | 20 |
| „ლოკომოტ." (მ.) | 16 | 7 | 6 | 3 | 28:22 | 20 |
| სკა (როსტ.) | 16 | 8 | 3 | 5 | 32:16 | 19 |
| „შახტიორი" (სტ.) | 17 | 5 | 5 | 7 | 16:19 | 15 |
| „ნეფტიანიკი" (ბ.) | 16 | 4 | 7 | 5 | 16:22 | 15 |
| „ადმირალტ." (ლ.) | 16 | 5 | 3 | 8 | 15:21 | 13 |
| „ტრუდი" (ვორ.) | 17 | 4 | 4 | 9 | 20:26 | 12 |
| „დაუგავა" (რ.) | 17 | 3 | 5 | 9 | 19:33 | 11 |
| „სპარტაკი" (ვილ.) | 16 | 1 | 5 | 10 | 13:37 | 7 |

მეორე ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კ.) | 16 | 10 | 4 | 2 | 33:12 | 24 |
| ცსკა | 16 | 10 | 3 | 3 | 45:23 | 23 |
| „სპარტაკი" (მ.) | 16 | 8 | 4 | 4 | 29:15 | 20 |
| „პახტაკორი" (ტ.) | 17 | 7 | 5 | 5 | 25:29 | 19 |
| „სპარტაკი" (ერ.) | 16 | 6 | 6 | 4 | 23:23 | 18 |
| „დინამო" (მ.) | 17 | 6 | 5 | 6 | 25:26 | 17 |
| „კაირატი" (ალმა.) | 16 | 5 | 5 | 6 | 18:22 | 15 |
| „ზენიტი" (ლ.) | 17 | 5 | 5 | 7 | 20:29 | 15 |
| „მოლდოვა" (კიშ.) | 17 | 5 | 4 | 8 | 28:32 | 14 |
| „ბელარუსი" (მნ.) | 16 | 2 | 5 | 9 | 13:24 | 9 |
| „კალევი" (ტალ.) | 16 | 0 | 6 | 10 | 10:34 | 6 |

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

### თეატრი, ეკრანი

20 ივლისი

**თეატრები:** ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ოტელო (მე-20 აბონემენტის მე-10 წარმოდგენა), უკრაინის დნეპროპეტროვსკის ტ. შევჩენკოს სახელობის დრამატული თეატრი — დნეპრო ხმაურობს (რუსთაველის სახელობის თეატრში), ფილარმონიის საზაფხულო თეატრი — ლატერნა მაგიკა.

**ტელევიზია:** 12.00 — მხატვრული ფილმი „რეპეტიცია გრძელდება". 18.00 — „ჩვენი სტუმრები" (სტუდიაში „ლატერნა მაგიკას" ერთი ჯგუფი), 18.20 — გადაცემა — „ვაჟა და ქართული თეატრი", 19.00 — სპორტული გადაცემა. შესვენების დროს პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე და ახალი ამბები. სპორტული გადაცემის შემდეგ — მხატვრული ფილმი „განუმეორებელი გაზაფხული".





## საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის კბილის სატექნიკო სასწავლებელი

**აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1961-62 სასწავლო წლისათვის** ქართული სექტორის I და II კურსებზე.

**სასწავლებელი ამზადებს საშუალო სამედიცინო კადრებს კბილის ტექნიკოსის სპეციალობით.**

სასწავლებელში მიიღებიან 30 წლამდე ასაკის მოქალაქენი, რომლებიც წარმოადგენენ დადებით დახასიათებას სასწავლებელში შესასვლელად პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, დაწესებულებათა ხელმძღვანელებისა და კოლმეურნეობათა გამგეობისაგან. (სასწავლებელში შემსვლელი დახასიათებას წარმოადგენს ერთი რომელიმე ორგანიზაციისა ან დაწესებულებისაგან), ხოლო არასრული საშუალო ან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებიც არ მუშაობენ ან მიმდინარე სასწავლო წელს დაამთავრეს სკოლა, დახასიათებას წარმოადგენენ სკოლიდან პედსაბჭოს დადგენილების საფუძველზე. სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ დემობილიზებულნი დახასიათებას წარმოადგენენ იმ სამხედრო ნაწილიდან, საიდანაც დემობილიზებულ იქნენ.

I კურსზე მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენაში (წერა), 2. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი), 3. მათემატიკაში (ზეპირი).

II კურსზე მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), 2. სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში (ზეპირი).

**I კურსზე სწავლის ხანგრძლივობა 3 წელია, ხოლო II კურსზე — 2 წელი.**

სასწავლებელში შემსვლელს პირადად შემოაქვს განცხადება დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით.

1. დახასიათება სასწავლებელში შესასვლელად, 2. განათლების მოწმობა (დედანი), 3. ავტობიოგრაფია, 4. სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ ზომით 3×4 სმ), 5. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286, გაცემული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით), 6. პირადად წარმოდგენილ უნდა იქნას დაბადების მოწმობა ან პასპორტი, სამხედრო ბილეთი (სამხედრო ვალდებულთათვის) და მიწერის მოწმობა (წვევამდელთათვის), 7. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (იმ პირთათვის, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი), შემოწმებული დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, კოლმეურნეობის წევრებისათვის ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, შემოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, სადაც აღნიშნული იქნება კოლმეურნეებისათვის დადგენილი შრომადღეების ნორმების მინიმუმი ცალკეული კალენდარული წლების მიხედვით და შესრულება.

მისაღები გამოცდების შედეგად სასწავლებელში ჩარიცხული სტაჟის მქონე პირები ვალდებული არიან 1 სექტემბრისათვის წარმოადგინონ შრომის ან საკოლმეურნეო წიგნაკის დედანი. წინააღმდეგ შემთხვევაში გარიცხული იქნებიან სასწავლებლიდან.

**შენიშვნა:** სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემდგომი შემცირების შესახებ მიღებული კანონის საფუძველზე დემობილიზებული ოფიცრები სასწავლებელში ჩაირიცხებიან უგამოცდოდ, რისთვისაც საჭიროა სხვა საბუთების დამატებით წარმოადგინონ მოწმობა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამინისტროს მიერ დაწესებული ფორმის მიხედვით, სამხედრო ნაწილის უფროსის მიერ ხელმოწერილი, და დახასიათება სასწავლებელში შესასვლელად იმ სამხედრო ნაწილიდან, საიდანაც დემობილიზებულ იქნენ.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით არსებული წესის საფუძველზე.

**საბუთების მიღება ა. წ. 31 ივლისამდე საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე.**

**მისაღები გამოცდები იწარმოებს 1-დან 20 აგვისტომდე.** სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. მეცადინეობა საღამოს 7 საათიდან.

სასწავლებლის მისამართი: ლამბაშიძის ქ. № 3. ტელ. 3-45-04.


უე 01076 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.